



World Experience for Georgia

ინფორმაციის და მონაცემების გამჭვირვალობა ენერგეტიკაში


მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

2017

ინფორმაციის და მონაცემების გამჭვირვალობა ენერგეტიკაში

მურმან მარგველაშვილი
თამარ წურწუშია
გოგიტა თოდრაძე
გიორგი მუხიგულიშვილი
თუთანა კვარაცხელია

**“მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის”
რეცენზენტი: ირაკლი ურუშაძე**



აკრონიმები

WTO - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია
ECT - ენერგეტიკული ქართის ხელშეკრულება
GATT - ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური
შეთანხმება
MFN - უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი
PPA - ედექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულება
PPP - საჯარო და კერძო პარტნიორობა
GOGC - საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია
სემევი - საქართველოს ენერგეტიკისა და
წყადმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

შესავალი

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით და ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით საქართველომ აიღო ვარდებულება, განახორციელოს რეფორმები ენერგეტიკის სექტორში და საფუძველი ჩაუყაროს ევროპულ ენერგეტიკულ ბაზართან დაახლოებას. ევროპული დიბერალური ენერგეტიკული კანონმდებლობის მთავარი მიზანია საბითუმო და საცალო ბაზრებზე ვაჭრობის ხელშეწყობა და ამისთვის მონოპოლიური და კონკურენტული საქმიანობების გაყოფა (ენერგოკომპანიების გადაცემის და დისტრიბუციის საქმიანობების გაყოფა).

კონკურენციის წახადისება და ვაჭრობის ხელშეწყობა ინფორმაციისა და მონაცემების ღიაობას ემყარება. გამჭვირვალობის ნაკლებობა ბაზარზე ხელს უშლის კონკურენციას, ამიტომ მთელი რიგი ევროპული დირექტივების და საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნები ეხება სწორედ ინფორმაციისა და მონაცემების გამჭვირვალობას ენერგეტიკაში.

ენერგეტიკის სექტორში გამჭვირვალობის ნაკლებობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების, და მათ შორის საქართველოს, მნიშვნელოვანი პრობლემაა, სადაც მრავლადაა კომერციული საიდუმლოების თუ სხვა მოტივით დახურული ინფორმაცია. 2017 წელს რუსულ კომპანია „გაზპრომ ექპორტთან“ გაზის ტრანზიტთან დაკავშირებით შეცვრილი პირობებით

გაფორმებულმა ხელშეკრულებამ საზოგადოების ხანგრძლივი პროტესტი გამოიწვია, პროცესების გამჭვირვადედ წარმართვისა და მოქალაქეებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, გაფორმებული კონტრაქტი არ გასაჯაროვდა. დახურულია გაზის შესყიდვის ხელშეკრულებები და ზოგიერთ ახალი ჰიდროსადგურის დეველოპერებთან დადებული მემორანდუმები, გაუმჭვირვადია პირდაპირი თუ ჯვარედინი სუბსიდირების სქემები და ა.შ. ინფორმაციის დახურვის საბაზად ხშირად გამოიყენება კონკურენტული ბაზრისთვის დამახასიათებელი მოთხოვნები, რაც საქართველოში, მსგავსი ბაზრის არარსებობის პირობებში, მონოპოლიურ მოთამაშეებს რეგიტიმურ საშუალებას აძლევს სრულად გამოიყენონ თავიანთი უპირატესობა, გაზარდონ მოგება და გააფართოვონ თავიანთი გავლენები. კონკურენტული ბაზრების არქონის პირობებში ინფორმაციის დახურვა, როგორც წესი, ემსახურება არა იმდენად კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის დაცვას, რამდენადაც არაკონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებას ან არაოპტიმალური გადაწყვეტილებების მოქალაქეთაგან დამაღვას. ასეთი გარემო აძლიერებს ეკონომიკური, ენერგეტიკური და ეროვნული უსაფრთხოების რისკებს.


გამჭვირვადობა ანგარიშვადლებულების უზრუნველყოფისა და კორუფციის პრევენციის უმთავრესი წინაპირობაა. დახურული ინფორმაცია განაპირობებს უნდობლობას და უკმაყოფილებას ოფიციალურ პირთა მიმართ, ხშირ შემთხვევაში კი იწვევს ეჭვს პირად დაინტერესებაში, რაც აფერხებს სექტორის მართვას და ქვეყნის სწორ განვითარებას.

ენერგეტიკის სექტორი ერთ-ერთი სფეროა, სადაც „მაღალი ღონის“ კორუფციის რისკი არსებობს. მართალია საქართველომ წარმატებით დაძლია წვრილმანი კორუფციის (საჯარო სერვისების სფეროში მექრთამეობის) პრობლემა, მაგრამ გამომწვევად რჩება კორუფციის უფრო კომპლექსური ფორმების პრევენციისა და გამოვლენის ეფექტური მექანიზმების შექმნა. ამიტომ, უკიდურესად მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე და, საჭიროების შემთხვევაში, ჰქონდეს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს პროცესების გამჭვირვადედ წარმართვაზე.

კვლევის მიზანია, მიმოიხილოს ენერგეტიკის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები და გააანალიზოს, რამდენად პასუხობს დღეისათვის საქართველოს ენერგეტიკის სექტორის გამჭვირვადობის ღონე საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეყრდნობა ენერგეტიკის სექტორში ინფორმაციის გამჭვირვადობასთან დაკავშირებით საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულების, ასევე ევროდირექტივებისა და ქართული კანონმდებლობის ანალიზს.



კვლევაში ასევე გამოყენებულია ენერგეტიკის სექტორში მომუშავე საჯარო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად მიღებული მონაცემები და კონკრეტული შემთხვევების ანალიზი (Case Study).

შემაჯამებელი მიმოხილვა


ინფორმაციის საჯაროობა და გამჭვირვალობა სახელმწიფო მართვის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. საზოგადოებას აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ეს უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს, აგრეთვე, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს“ მიერ.

ინფორმაციის თავისუფლებას და გამჭვირვალობას ენერგეტიკის სექტორში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რადგან მას გავრენა აქვს როგორც ენერგიის მომხმარებლებზე და მათ კეთილდღეობაზე, ისე ენერგეტიკული ბაზრის მონაწილეებსა და ინვესტორებზე, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე აისახება.

საქართველოში ინფორმაციის დახურვის საბაზად ხშირად გამოიყენება მონაცემთა კონფიდენციალურობისა და ეკონომიკური საიდუმლოების მოტივები, თუმცა კონკურენტული ბაზრების არსებობის პირობებში, დღეს არსებული პრაქტიკა უფრო მეტად ემსახურება არსებული მონოპოლისტების გავრენების გაძლიერებას ვიდრე ბაზრის მოთამაშეებისთვის თანაბარი პირობების შექმნას.

ენერგორესურსებით ვაჭრობის საერთაშორისო რეგულირების სისტემაში, რომლის ჩარჩოს ქმნის „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის“ (WTO) და „ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების“ (ECT) დებულებები, გამჭვირვალობა ამოსავალი წერტილია. ერთმანეთის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის ფლობა განაპირობებს სავაჭრო პარტნიორების ურთიერთ ნდობას. „ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების“^{*} მიხედვით, კონტრაქტორი მხარეები ვალდებული არიან,^{**} უზრუნველყონ გამჭვირვალობა საერთაშორისო ვაჭრობის ყველა სეგმენტში (ენერგიის წარმოება/ექსპორტი, ტრანზიტი, მოხმარება/იმპორტი). გასათვალისწინებელია, რომ საქართველო ენერგეტიკული ქარტიის და WTO-ს წევრია, შესაბამისად მან უნდა შეასრულოს გამჭვირვალობასთან დაკავშირებული მოთხოვნები. თუმცა ხშირად ინფორმაცია დახურულია კონფიდენციალურობისა და კომერციული საიდუმლოების მოტივებით.

საერთაშორისო სავაჭრო სისტემებისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა - „მესამე ენერგეტიკული პაკეტი“, ორიენტირებულია შიდა ბაზრის მოწყობაზე. აქ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მომხმარებელთა უფლებების დაცვას და გამჭვირვალობას, რომლის ნაწილებია სუბსიდირების



* The Energy Charter Treaty


** Part II: Policy Principles Article 3 Basic Principles (f)

სქემების გამჭვირვალობა, ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პოლიტიკების ღიაობა, მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის კონტრაქტების ხელმისაწვდომობა, ღია და გამჭვირვადე ბაზრის და გადართვის წესების არსებობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ენერგიის მოხმარების ზუსტი აღრიცხვის შესახებ და ა.შ.

სუბსიდიების სქემების გამჭვირვალობა - ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, აუცილებელია, სოციალური დაცვის მექანიზმები იყოს კარგად დასაბუთებული და მაქსიმალურად გამჭვირვადე, რათა ხელი არ შეუშალოს ბაზრის დიბერალიზაციის პროცესს. საქართველოში ენერგეტიკის სექტორში არსებული სუბსიდიების სქემებზე პასუხისმგებელია ენერგეტიკის სამინისტრო, თუმცა არ არის წარმოდგენილი ანგარიშები გაცემული სუბსიდიების ან მათ ეფექტიანობის შესახებ. მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის და WEG-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ ენერგეტიკის სექტორში, 2014 წლის მონაცემებით, დაახლოებით 500 მილიონ ლარზე მეტი სუბსიდიის არსებობა გამოავლინა. ენერგეტიკის სფეროში მთლიანი დაანგარიშებული სუბსიდიები შეადგენს ბიუჯეტის ხარჯვის დაახლოებით 6%-ს, რაც ძალიან მაღალი ციფრია. არსებობს ენერგეტიკული სუბსიდიის სხვა სქემებიც, რომელთა სათანადოდ გაანალიზება შეუძლებელია გაუმჭვირვადე სქემებისა და მონაცემთა ნაკლებობის გამო.

ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პოლიტიკების ღიაობა - ევროკავშირის კანონმდებლობით, გარდა სუბსიდიებთან დაკავშირებული გამონაკლისებისა, ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ შესაძლოა განსაზღვროს ინვესტორების წამახარისებელი მექანიზმები (მაგ: შეღავათიანი ტარიფი (feed in tariff), ქსელზე პრიორიტეტული დაშვება და ა.შ). თუმცა აღნიშნული მხარდამჭერი მექანიზმები უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვადე. საქართველოში ინვესტორთა წახარისებისათვის მიღებული პრაქტიკაა ჰიდროსადგურების მშენებლობის მიზნით სახელმწიფოსა და ინვესტორებს შორის მემორანდუმების გაფორმება. მემორანდუმების მიხედვით, ჰიდროსადგურების დეველოპერებს სამინისტროსთან მორაპარაკების საფუძველზე უდგინდებათ გარანტირებული შესყიდვის ვადები და შესაბამისი ტარიფი, თუმცა არ არის მკაფიოდ განმარტებული ტარიფის დადგენის პრინციპები. ასეთი პროცედურა არაკონკურენტული და არაგამჭვირვადეა.

კონტრაქტების ხელმისაწვდომობა მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის - მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის კონტრაქტების პირობები და სტანდარტები უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვადე. საქართველოში ქსელთან მიერთების წესები და პროცედურებიც მოცემულია როგორც სემეკის, ასევე გამანაწილებელი კომპანიების ვებ გვერდებზე. ქსელთან მიერთების წესები, ფასები და




შესაბამისი ხედშეკრულებებიც არის გამჭვირვადე, თუმცა პრობლემატურია საყოფაცხოვრებო სექტორისათვის, გაზის შესყიდვის ხედშეკრულებების გამჭვირვალობა და კომერციულ სექტორში ტარიფების დადგენის პრინციპები.

ღია და გამჭვირვადე გადართვის წესების არსებობა - ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, საცარო ბაზარზე კონკურენციის ხედშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია მომხმარებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა მიმწოდებელს შორის არჩევანის თავისუფლება, ამისათვის კი საჭიროა გააჩნდეთ წვდომა ღია და გამჭვირვადე გადართვის წესებზე, რომლის შემუშავებაზე და განხორციელების მონიტორინგზე პასუხისმგებელია მარეგულირებელი ორგანო. საქართველოს კანონმდებლობა ამ კუთხით შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას, თუმცა კონკურენტული ბაზრის არარსებობის გამო, რეგულად, მომხმარებლებს არ აქვთ არჩევანის შესაძლებლობა.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ენერგიის მოხმარების ზუსტი აღრიცხვის შესახებ - ევროკავშირის ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის ბაზრების შესახებ კანონმდებლობისა და ენერგოეფექტურობის დირექტივის მიხედვით, მომხმარებელს უფლება აქვს ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარი მოხმარების ზუსტი აღრიცხვის შესახებ და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით იფიქროს ენერგიის მოხმარების შემცირებაზე. საქართველოში მომხმარებლის ინფორმირება საკუთარი მოხმარების აღრიცხვის შესახებ ხორციელდება გამჭვირვადედ, მიმწოდებელი კომპანიების მიერ ყოველთვიურად დაგზავნილი ქვითრებით, როგორც ელექტროენერგეტიკის, ისე ბუნებრივი აირის სფეროში. ქვითრებზე მოცემულია ინფორმაცია მოხმარებული ენერგიის რაოდენობის და ფასის შესახებ როგორც ყოველ მოხმარებულ ერთეულზე, ისე - ჯამურად ერთი თვის განმავლობაში.

ენერგეტიკული ბაზრების რიბერაღიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობის უმთავრესი მოთხოვნაა. რიბერაღიზაცია გულისხმობს ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების არარსებობას და მონოპოლიური და კონკურენტული საქმიანობების გაყოფას. საქართველოში ენერგეტიკული ბაზარი არ ემყარება სრული კონკურენციის პრინციპებს, გამანაწილებელი კომპანიები ამავდროულად არიან საბითუმო და საცარო მიმწოდებლები და მომხმარებელს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არ აქვს. თუმცა 2017 წლის მარტში, ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნომ მოამზადა ენერგეტიკის შესახებ კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის რეგულირების ახად, ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამის პრინციპებს. ბაზრის ახალი მოდელის სირთულის და მასშტაბურობის გათვალისწინებით, რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ პროცესები მიმდინარეობდეს ღიად და გამჭვირვადედ და მასში მონაწილეობდნენ როგორც გადამცემი თუ გამანაწილებელი კომპანიების, ასევე ენერგეტიკის სამინისტროს,



მარეგულირებელი კომისიის და სხვა დამოუკიდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები.


მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობა- ევროკავშირის დირექტივები მარეგულირებელ ორგანოებს განუსაზღვრავს უფლებამოსილებას და ტექნიკური შესაძლებლობებს გაუწიონ მონიტორინგი ბაზრის სუბიექტების მიერ გამჭვირვალობისა და კონკურენციის პრინციპების დაცვას. საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეგულირება ენერგეტიკისა და წყარმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემევი) კომპეტენციაა. კომისია თავის საქმიანობას წარმართავს გამჭვირვარედ, თუმცა 2006 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით სექტორის რეგულირების ფუნქციების მნიშვნელოვანი ბერკეტები გადაეცა ენერგეტიკის სამინისტროს, რითაც სემევი პრაქტიკულად დაექვემდებარა მრავლობით არასისტემურ და სუბიექტურ ცვლილებას. სემევის ფუნქციად განისაზღვრა მხოლოდ ბაზრის მონიტორინგი და არა ბაზრის წესების დადგენა.

ინფორმაციის თავისუფლებისა და გამჭვირვარების კუთხით, სემეკზე ასევე სრულად ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის 49-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით. კომისია ვადლებულია გასცეს მოთხოვნილი ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან 10 დღის ვადაში. სემევი ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ სადაც დეტალურად აღწერს საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით არსებულ ვითარებას.

ასოცირების ხელშეკრულების და ენერგეტიკული გაერთიანების განწევრიანების ოქმით ნაკისრი ვადლებულებების შესრულება ენერგეტიკის სექტორში მნიშვნელოვან რეფორმებს ითვალისწინებს, რაც ინფორმაციისა და მონაცემების გამჭვირვარების გარეშე ვერ განხორციელდება. მნიშვნელოვანია საზოგადოებამ მაქსიმალური ძალისხმევა მიმართოს იქითკენ, რომ ჩამოყალიბდეს და ამოქმედდეს ენერგეტიკულ ბაზრებზე რეალური კონკურენციის მექანიზმები და მოხდეს მათი მკაცრი გამიჯვნა ბუნებრივად მონოპოლიური საქმიანობისგან; აუცილებელია, ასევე, მოხდეს სექტორის მართვის და რეგულირების უფლებამოსილებათა გადანაწილება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და ჩამოყალიბდეს დარგის მართვის სტრატეგიული პრიორიტეტები, პროცედურები და სახელმძღვანელო პრინციპები.

ინფორმაციის თავისუფლების და გამჭვირვარების მნიშვნელობა ენერგეტიკაში

„ინფორმაციის თავისუფლება არის საზოგადოების ფუნდამენტური უფლება და მთავარი ბარომეტრი ყველა თავისუფლებას შორის, რომელსაც ეფუძნება „გაერო“. გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 1946, რეზოლუცია 59(I).



საზოგადოებას აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ეს უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს, აგრეთვე, „ადამიანის უფლებათა ევროპური სასამართლოს“ მიერ.


სახელმწიფო მართვა ინფორმაციის საჭაროობას ემყარება, რაც სრულიად განსხვავდება კომერციული ინტერესების მქონე ორგანიზაციებისგან, სადაც ინფორმაცია შეიძლება იყოს დახურული ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებით. მართალია, არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტი, თუ როგორ უნდა მოხდეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, თუმცა ზოგადი მიდგომები ყველგან საერთოა და ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- საჯარო სტრუქტურების ხელთ არსებული ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო, თუ სახელმწიფო არ ასაბუთებს მისი დახურულობის აუცილებლობას.
- ინფორმაციის დახურვის მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს, ინფორმაციის მოთხოვნისას მოქალაქეს არ აქვს ვალდებულება განმარტოს, რისთვის სჭირდება ესა თუ ის ინფორმაცია.
- მთავრობამ, მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაშიც, პროაქტიულად უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია*

ინფორმაციის მიღების და გავრცელების თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხერისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად,** სხვა შემთხვევაში ინფორმაცია უნდა იყოს ღია და ხელმისაწვდომი.

მოქალაქეთა უფლება აკონტროლონ, რამდენად ეფექტურად არის დაცული მათი და ქვეყნისა ინტერესები მთავრობის საქმიანობაში, რამდენად მიზანშეწონილი და ეფექტიანია მიმდინარე და მომავალი საბიუჯეტო ხარჯები, რამდენად ოპტიმალურია დადებული შეთანხმებები და გარიგებები და რამდენად შეესაბამება სახელმწიფო ღონისძიებები და პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს, და ა.შ.

უფრო კონკრეტული, სპეციფიური ინფორმაცია ეხება ენერგიის მომხმარებლებს (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს და იურიდიულ პირებს), ასევე ენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედ კომპანიებსა და ინვესტორებს. ჩამოთვლილი ჯგუფებისათვის ინფორმაციისა და მონაცემების ხელმისაწვდომობას



* The Public's Right to Know: Principles on FOIA Legislation, the Article 19 Principles, London 1999,

** „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ მუხლი 10

განსხვავებული მნიშვნელობა აქვს:

- **ენერგიის მომხმარებელთა უფლებაა** მიიღონ ხარისხიანი ენერგია და მომსახურება ოპტიმალურ ფასად, რისთვისაც საჭიროა იცოდნენ, რამდენ ენერგიას მოიხმარენ, რამდენს იხდიან და რა მომსახურებაში; არიან თუ არა სუბსიდირების ობიექტი და ოპტიმალურია თუ არა ენერგოკომპანიების მიერ ჩადებული ინვესტიციები, რომელთა ანაზღაურებაც მათ უწევთ ტარიფით. ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არის წინაპირობა, რომ მომხმარებლებმა (როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე კერძო სექტორში) ეფექტურად დაიცვან თავიანთი ინტერესები.

- **ენერგეტიკული ბაზრების მონაწილეთა უფლებაა** ჰქონდეთ არადისკრიმინაციულ, კონკურენტულ გარემოში საქმიანობის შესაძლებლობა. ინფორმაციის გამჭვირვალობამ უნდა უზრუნველყოს თანაბარი პირობების შექმნა ბაზრის მოთამაშეებისათვის, რათა რომელიმე მონაწილემ არ ისარგებლოს უპირატესი მდგომარეობით, რითაც შეზღუდავს კონკურენციას და დააზარალებს მომხმარებელთა ინტერესებს.


- **პოტენციური ინვესტორებისათვის** აუცილებელია გამჭვირვადე გარემო და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, იმისთვის, რომ თანასწორ, პროგნოზირებად საინვესტიციო გარემოში იმოქმედონ. გამჭვირვალობა საინვესტიციო გარემოს სტაბილურობას განაპირობებს და იცავს ინვესტორს მოულოდნელი ცვლილებებისგან. გამჭვირვადე გარემო მიმზიდველი ხდება კვადრიფიციური, სტრატეგიული ინვესტორისთვის.

სწორედ აღნიშნული ინტერესების დაცვას ემსახურება გამჭვირვალობის პრინციპები როგორც საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში, ასევე ევროკავშირის კანონმდებლობის ფარგლებში.

ინფორმაციის გამჭვირვალობის მნიშვნელობა ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის

ენერგეტიკა სტრატეგიული დარგია რომელსაც ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებს თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები გააჩნიათ, ქვეყნის ეკონომიკა კი დიდაა მათი გავლენების მიმართ. უცხო ქვეყნების სახელმწიფო თუ კერძო კომპანიები საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ზოგჯერ კრიტიკულად მაღარ წიღებს ფლობენ. ზოგიერთი მათგანი არ გამოიჩენს დემოკრატიული თავისუფლების და გამჭვირვალეობის მაღალი ხარისხით, თავიანთი ინტერესების გატარებისას კი შესაძლოა გამოიყენონ არადემოკრატიული მეთოდები.

საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობა მრავლად შეიცავს ბუნდოვან და წინააღმდეგობრივ დებულებებს, რაც მისი განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ასევე, ტრადიციად არის ქცეული ერთჯერადი საჭიროებებისთვის კანონმდებლობის ხშირი და უსისტემო ცვლილებები, რაც ქმედებების თითქმის სრულ თავისუფლებას



ოდრევა.

ბევრ შემთხვევაში კრიტიკული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები შეიძლება დაექვემდებაროს რომელიმე უფლებამოსილი პირის სუბიექტურ შეხედულებას და არა წინასწარ მომზადებულ პრიორიტეტებს და შეთანხმებულ სტრატეგიებს.

უსისტემო ცვლილებების მაგარიტები მრავლად არის საქართველოს ენერგეტიკულ კანონმდებლობაში, განსაკუთრებით, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ნებართვების გაცემის და მემორანდუმების პირობებში. მაგარიტად,

- საქართველოს კანონით ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის განისაზღვრებოდა როგორც ელექტროსადგური, რომელის საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 13 მეგავატს (და არა 15, 20 ან 30). აღნიშნული მუხრი სავარაუდოდ ერთი კერძო ინტერესით იყო განპირობებული, რისი შენიღბვის მცდელობაც კი არ ყოფილა.

- ახალი სადგური განიმარტებოდა როგორც სადგური რომელიც 2008 წლის შემდეგ აშენდა და რომელსაც მინისტრი განსაზღვრავს როგორც ახალ სადგურს.

- დიდი თავისუფლება სამინისტროს მიერ ჰიდროსადგურების დეველოპერისთვის მემორანდუმებით განსხვავებული პირობების დაწესების მხრივ როგორც ტარიფების, ასევე საბანკო გარანტიების მოცულობის კუთხით. რაც მათ არათანაბარ პირობებში აყენებს და ეჭვებს წარმოშობს.

- გაუმჭვირვალე გარემოს შექმნის მაგარიტი იყო 2007 წელს გამოცხადებული ე.წ. დერეგულირება გაზის სექტორში, როდესაც გაზის მომხმარებელი იურიდიული პირები პირისპირ დარჩნენ მონოპოლიურ გაზის მომწოდებელთან.

ასეთი პრეცედენტები დამაზიანებელია არა მხოლოდ მომხმარებლის ინტერესებისათვის, არამედ ზრდის არაფორმალური ურთიერთობების საფრთხეს და პოლიტიკური თუ კორუფციული ზეგავლენებისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული.

საქართველო არ გამოირჩევა მაღალპროფესიული სახელმწიფოებრივი მმართველობის ტრადიციით და ძლიერი უსაფრთხოების სისტემებით, რაც შესაძლო შეცდომების და გარე თუ შიდა ინტერესების ჯგუფების გავლენებისგან დაცვის საშუალება იქნებოდა. ქვეყნის გრძელვადიანი ინტერესების და ფასეულობების დასაცავად აუცილებელია დამატებითი უსაფრთხოების მექანიზმების არსებობა, რომელთაგან ერთერთი მთავარი არის სახელმწიფოს ანგარიშვადლებულება მოქალაქეების მიმართ, რაც ინფორმაციის და პორცედურების გამჭვირვარეობის გარეშე ვერ განხორციელდება.

გამჭვირვარეობის პრინციპები ენერგეტიკის საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში

ენერგორესურსებით ვაჭრობის საერთაშორისო რეგულირების




სისტემის ჩარჩოს ქმნის „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის“ (WTO) და „ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების“ (ECT) დებულებები, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგორესურსებით ვაჭრობისათვის აუცილებელ გამჭვირვალობის მოთხოვნებს. გლობალური ბაზრის პირობების და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა სტაბილური და კონკურენტულ სავაჭრო გარემოს აუცილებელი ელემენტია. ერთმანეთის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის ფლობა განაპირობებს სავაჭრო პარტნიორობის ურთიერთ ნდობას.

ეროვნულ დონეზე სავაჭრო პოლიტიკის გატარებისას მთავრობებისთვის სავადღებულოა გამჭვირვალობის შესახებ WTO მოთხოვნების შესრულება, რაც თავის მხრივ ეყრდნობა წინამორბედი „ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების“ (GATT) დებულებებს. GATT მე-10 მუხრის მიხედვით, სახელმწიფოები ვადღებუდი არიან უზრუნველყონ იმ სამთავრობო აქტების გამჭვირვალობა, რომლებიც გავდენას ახდენს სავაჭრო ურთიერთობებზე, როგორც წევრ ქვეყნებს შორის, ასევე, კერძო პირებსა და კომპანიებს შორის. ეს მოთხოვნა, ვრცელდება არა მარტო WTO წევრებზე, არამედ „სხვა პირებზეც“, რათა მათ ჰქონდეთ სათანადო ინფორმაცია, მათ შორის, საბაჟო კონტროლის ზომების შესახებ.

„ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების“^{*} მიხედვით, კონტრაქტორი მხარეები ვადღებუდი^{**} არიან, უზრუნველყონ გამჭვირვალობა საერთაშორისო ვაჭრობის ყველა სეგმენტში (ენერგიის წარმოება/ექსპორტი, ტრანზიტი, მოხმარება/იმპორტი). ხელშეკრულების მე-20 მუხრი, GATT მე-10 მუხრის მსგავსად, მოითხოვს წევრი ქვეყნებისგან, რომ უზრუნველყონ „ყველა რეგულაციის, სასამართლო გადაწყვეტილებისა და ზოგადი გამოყენების ადმინისტრაციული წესების გამჭვირვალობა „მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის“ მოთხოვნების შესაბამისად.^{***} ამასთან, აუცილებელია ნებისმიერ ენერგეტიკულ პროდუქტის ან ნედლეულის იმპორტზე ან ექსპორტზე დაწესებული ნებისმიერი „სხვა გადასახადის ან საფასურის“ გამჭვირვალობა,^{****} რაც უნდა აისახოს შესაბამის დოკუმენტებში (Tariff Record^{*****}).

გასათვადისწინებელია, რომ საქართველო ენერგეტიკული ქარტიის და WTO-ს წევრია, შესაბამისად მან უნდა შეასრულოს გამჭვირვალობასთან დაკავშირებული მოთხოვნები. თუმცა ხშირად ინფორმაცია დახურულია კონფიდენციალობისა და კომერციული საიდუმლოების მოტივებით.

აღსანიშნავია, რომ არც GATT მე-10 და არც „ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების“ მე-20 მუხრი არ განმარტავს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ კრიტერიუმებს, თუმცა ანალიზისათვის შეიძლება გამოვიყენოთ მისი ძირითადი პრინციპის - „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ (Most Favored Nation –(MFN)) დაცვა. GATT-ის 1 მუხრის მიხედვით, როდესაც WTO-ს ან „ენერგეტიკული ქარტიის“



* The Energy Charter Treaty

** Part II: Policy Principles Article 3 Basic Principles (f)

*** 29 (2)(a) Trade in Energy Materials and Products and Energy-Related Equipment between Contracting Parties at least one of which is not a member of the WTO shall be governed, subject to subparagraph (b) and to the exceptions and rules provided for in Annex W, by the provisions of the WTO Agreement, as applied and practised with regard to Energy Materials and Products and Energy-Related Equipment by members of the WTO among themselves, as if all Contracting Parties were members of the WTO

**** listed in Annex EM II or Energy Related Equipment listed in Annex EQ II

***** Annex W: Exceptions and Rules Governing the Application of the Provisions of the WTO Agreement (B)

რომელიმე წევრი ქვეყანა ანიჭებს რაიმე უპირატესობას ან პრივილეგიას, რომელიმე ქვეყნის ენერგეტიკულ პროდუქტს, მან ეს პრივილეგია, აგრეთვე, უნდა გაავრცელოს სხვა წევრი ქვეყნების მსგავს პროდუქტზე („like products“). ანუ MFN პრინციპის დაცვით უნდა აღიკვეთოს შესაძლო დისკრიმინაცია იმპორტირებულ და ექსპორტირებულ პროდუქტზე, მიუხედავად მათი წარმოშობისა და დანიშნულებისა. იგივე მიდგომა ვრცელდება ენერგიის ტრანზიტზე, როგორც ენერგორესურსების ვაჭრობის მთავარ შემადგენელ ნაწილზე.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით კომერციულ საიდუმლოებას განეკუთვნება „ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას“ ტრანზიტის საფასური არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც კომერციული საიდუმლოება, რადგან ის არ ეხება პროდუქტს.

ტრანზიტის საფასურის გამჭვირვალობის კუთხით მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „გამპრომ ექსპორტთან“ დადებული ხელშეკრულება რუსური გაზის სომხეთში ტრანზიტთან დაკავშირებით, რომელიც 2017 წელს შეცვლილი პირობებით შევიდა ძალაში. გაზის ტრანზიტის საფასური, 1991 წლიდან მოყოლებული, გატარებული გაზის ოდენობის 10%-ით განისაზღვრებოდა, ახალი პირობების მიხედვით კი ეს საფასური თანხობრივ ანაზღაურებაზე გადავიდა. რამდენს მიიღებს ქართული მხარე გატარებული გაზის სანაცვლოდ უცნობია საზოგადოებისათვის, რადგან თანხის ოდენობა კომერციულ საიდუმლოდ განისაზღვრა, თუმცა გაკეთდა მინიშნებები, რომ საქართველო იძულებული იყო დათანხმებოდა ფინანსური კუთხით გაუარესებულ მოთხოვნას. საზოგადოების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, კონტრაქტი არ გასაჯაროებულა.

სომხეთში რუსური გაზის ტრანზიტის გასაიდუმლოებული ფასი არ იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს, იცავს თუ არა საქართველო „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ (MFN) პრინციპებს და აყენებს თუ არა თანაბარ პირობებში სხვადასხვა კომპანიას ენერგოპროდუქტების ტრანზიტისას. ტრანზიტის საფასურის კონფიდენციალურობა ტოვებს ეჭვის შესაძლებლობას, რომ საქართველომ ან გაუმართლებელი დათმობები გააკეთა ან მომავალში შეიძლება მოინდომოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის განსხვავებული პირობების შეთავაზება; ანუ ტრანზიტის გამოიყენოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მანიპულირების ან კორუფციული გარიგებების საგნად.

გამჭვირვალობა აუცილებელია MFN-ის პრინციპის



დაცვისთვის რათა ტრანზიტის სერვისით დაინტერესებულ მესამე მხარეს ჰქონდეს ინფორმაცია იმაზე, თუ რამდენად არადისკრიმინაციულ, საიმედო და პროგნოზირებად პირობებს სთავაზობს რომელიმე კონკრეტული ქვეყანა ენერგოპროდუქტით ვაჭრობისთვის. ამიტომ, ენერგოპროდუქტების ტრანზიტის საფასური არ უნდა განისაზღვრებოდეს როგორც კომერციული საიდუმლოება.

შედარებისთვის შეიძლება განვიხილოთ სამხრეთ კავკასიური მიღსადენით ბუნებრივი გაზის ტრანზიტის ხედშეკრულება, რომლის პირობები ღია და ხედმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. სამხრეთ კავკასიური მიღსადენის მართვას ახორციელებს შაჰ დენიზის საერთაშორისო კონსორციუმი, რომელთანაც საქართველოს დადებული აქვს ორი ხედშეკრულება. ერთი ხედშეკრულება ეხება ე.წ. „ოფციური“ გაზის ყიდვას, რომლის მიხედვითაც საქართველოს შეუძლია, სატრანზიტო გადასახადის სახით, მიიღოს აზერბაიჯანიდან თურქეთში საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის მოცულობის 5% ან აიღოს შესაბამისი სტანდარტებით დადგენილი თანხა გაზის ტრანზიტისათვის, თუმცა, საქართველო ამჟამინებს გაზის მიღებას. ამ ხედშეკრულების ამოწურვის ვადაა 2066 წელი.

გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია შაჰ დენიზის საერთაშორისო კონსორციუმიდან, სპეციალურ ფასად, 55 დოლარად (პროცენტული ნაზრდით) ყოველი გატარებული 1000 მ3-სათვის, იყილოს „დამატებითი“ გაზი არა უმეტეს 500 მ3-სა. ამ კონტრაქტის ვადა არის 2025 წლამდე.

ევროკავშირის მოთხოვნები ენერგეტიკაში ინფორმაციის გამჭვირვალობაზე და საქართველოში არსებული ვითარება

საერთაშორისო სავაჭრო სისტემებისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა - „მესამე ენერგეტიკული პაკეტი“, ორიენტირებულია შიდა ენერგეტიკული ბაზრის მოწყობაზე. მესამე ენერგეტიკული პაკეტი მოიცავს ორ ღირეექტივასა და სამ რეგულაციას: 2009/72/EC ღირეექტივა ედექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ; 2009/73/EC ღირეექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ; 714/2009 რეგულაცია ედექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ქსელზე დაშვების შესახებ; 715/2009 რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელებზე დაშვების შესახებ; 713/2009 რეგულაცია ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოს (ACER) დაფუძნების შესახებ.

პირველი და მეორე ენერგეტიკული პაკეტებისაგან განსხვავებით, მესამე ენერგეტიკული პაკეტი მეტ ყურადღებას ამახვილებს მომხმარებელთა დაცვაზე, ენერგეტიკულ ბაზრებზე კონკურენციის გაზრდასა და დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბებაზე. ედექტროენერგიისა და გაზის ბაზრების შესახებ ღირეექტივები*



* Directive 2009/73/EC, Chapter IX, Retail Market, Article 45. Directive 2009/72/EC, Chapter X, Retail Market, Article 41

აყვარიბებს ბაზრების ფუნქციონირების და ანგარიშვადღებუდების სისტემის საერთო წესებს, რაც გულისხმობს ბაზრის მონაწილეების (გადამცემი და განაწილების სისტემის ოპერატორების, მიმწოდებლებისა და ბაზრის სხვა მონაწილეების) მიერ მონაცემთა გაცვლას და ინფორმაციის გამჭვირვადობის ხერშენწყობით კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრების ჩამოყვარიბებას.

საქართველოს ედექტრობის და გაზის ბაზრები საკმაოდ განსხვავდება თავისუფალი, კონკურენტული გარემოსგან. საქართველოში მხოლოდ ნაწილობრივ მოქმედებს, კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრების დამახასიათებელი მონაწილეთა ინტერესების დაცვის მექანიზმები, ამიტომ აუცილებელი ხდება მეტი გამჭვირვადობის მოთხოვნა სახერმწიფო საწარმოების და ენერგეტიკის სამინისტროსგან, რომლებიც ჯერ კიდევ აკონტროლებენ ედექტრობის და გაზის ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა და გამჭვირვადობა

ბაზრის გამჭვირვადობა კომერციული არაკეთილ-სინდისიერებისგან მომხმარებლის დაცვას ემსახურება. თუ ბაზარზე არჩევანისა და ნდობის სიმცირეა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ენერგიაზე ფასები იზრდება, მომხმარებლებმა შესაძლოა მოითხოვონ პოლიტიკური ჩარევა, რაც არაეფექტურია და არასასურვედია როგორც ბაზრის, ისე ქვეყნის განვითარებისთვის.

იმისათვის, რომ ბაზარი დაცული იყოს კონკურენციაზე სახერმწიფოს პირდაპირი ან ირიბი ზეგავლენისგან, ევროკავშირის ედექტროენერგიისა (2009/72/EC) და ბუნებრივი გაზის (2009/73/EC) დირექტივები განსაზღვრავს მომხმარებელთა უფლებებისა და გამჭვირვადობის დაცვის დეტალურ დებულებებს, რითაც უნდა იხერმძღვანელონ მთავრობებმა სუბსიდირების მექანიზმების შემუშავებისას.

სუბსიდირების სქემების გამჭვირვადობა

სუბსიდირების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკულ პოლიტიკაში და ევროკავშირის კანონმდებლობაშიც, რადგან არასწორმა სუბსიდირებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ბაზრის ფუნქციონირებას, გამოიწვიოს საზოგადოებრივი სახსრების არაეფექტური ხარჯვა, გაზარდოს ენერგიის მოხმარება და გარე წყაროებზე დამოკიდებულება, ხერი შემუშალოს ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების გავრცელებას, გაზარდოს სათბურის გაზების ემისია და სხვ.

ევროკავშირის კანონმდებლობა ითვარისწინებს სახერმწიფოს ვადებულებას დაეხმაროს სოციალურად დაუცვედ მოსახლეობას. დირექტივის მიხედვით, ბაზრის რიბერადიზაციის პროცესში, სახერმწიფომ შესაძლოა შემუშაოს სოციალური დაცვის მექანიზმები გარკვეული მომხმარებლებისათვის* (მოწყვლადი

* მუხლი 3, დირექტივა 2009/72/EC და 2009/73/EC

მომხმარებლების* ჩათვლით). ამავდროულად, სოციალური დაცვის მექანიზმები უნდა იყოს კარგად დასაბუთებული და მაქსიმალურად გამჭვირვადე, რათა ხელი არ შეუშალოს ბაზრის რიბერალიზაციის პროცესს. ევროკავშირის მოთხოვნებით, გარდა აღნიშნული გამონაკლისებისა, დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ფორმით (რომელიმე კომპანიის ან რომელიმე პროდუქტის სასარგებლოდ) ჩარევა ბაზარზე, რომელიმე მონაწილის/პროდუქტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

საქართველოში ენერგეტიკის სექტორში არსებული სუბსიდიების სქემებზე პასუხისმგებელია ენერგეტიკის სამინისტრო, თუმცა გაცემული სუბსიდიების ან მათ ეფექტიანობის შესახებ ანგარიშგება არ ხდება. მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის და WEG-ის მიერ 2017 წელს ჩატარებულმა კვლევამ ენერგეტიკის სექტორში, 2014 წლის მონაცემებით, დაახლოებით 500 მილიონ ლარზე მეტი სუბსიდიის არსებობა გამოავლინა.**

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სუბსიდიების სქემები წარმოადგენს არა დაგეგმიური და კარგად გააზრებული და გამჭვირვადე ეკონომიკური პოლიტიკის შედეგს, არამედ ხშირად ერთჯერადი, კერძო გადაწყვეტილებების შედეგია და სახელმწიფო ინსტიტუტების და პოლიტიკის სისუსტეს აჩვენებს. მაგარიტად, არსებული სუბსიდიების სქემებია:

- ბუნებრივი გაზის საბაზროზე დაბალი ფასით მიწოდება თბოედექტროსადგურებისთვის და გაზის გამანაწილებელი კომპანიებისთვის, რაც ემსახურება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ედექტროენერგიისა და გაზის ტარიფების დაბალ ნიშნულზე ხელოვნურად შენარჩუნებას. ამ სუბსიდიის მოცულობა წელიწად 350 მილიონ ლარს აღემატება, რაც მნიშვნელოვნად ამძაფრებს სოციალურ უთანასწორობას, რადგან მდიდარი მომხმარებლებისთვის ბევრად მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე სოციალურად დაუცველებისთვის, რომლებიც ნაკლებ ენერგიას მოიხმარენ.

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად დაახლოებით 5 მილიონი ლარი იხარჯება ყაზბეგის და ღუშეთის მუნიციპალიტეტების ოჯახებისთვის ბამთრის პერიოდში უფასო გაზის მიწოდებაზე. გარდა ამისა, ედექტროენერგია უფასოდ მიეწოდება სვანეთის რეგიონს. შედეგად კი მომსახურების ხარისხი (სიმძლავრე და ძაბვა) ძალიან დაბალია, რადგან სახელმწიფო და სადისტრიბუციო კომპანია არ არის დაინტერესებული მომსახურების გაუმჯობესებით და მეტი მოცულობის ედექტროენერგიის მიწოდებით.

ენერგეტიკის სფეროში მდიდარი შეფასებული სუბსიდიები შეადგენს ბიუჯეტის ხარჯვის დაახლოებით 6%-ს, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. არსებობს ენერგეტიკური სუბსიდიების სხვა, დაფარული სქემებიც, რომელთა სათანადოდ გაანალიზება შეუძლებელია გაუმჭვირვადი სქემებისა და მონაცემთა ნაკლებობის გამო.

ევროკავშირის კანონმდებლობით, გარდა სუბსიდიებთან



* მოწყვლადი მომხმარებლები დაკავშირებულია იმ მომხმარებლებთან, რომლებიც საჭიროებენ სოციალური დაცვის მექანიზმებს სახელმწიფოსგან, დირექტივა 2009/72/EC (პარაგრაფი (53)) და დირექტივა (2009/73/EC, პარაგრაფი (50))

** „ენერგეტიკური სუბსიდიების აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ WEG, 2017

დაკავშირებული გამონაკლისებისა, ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ შესაძლოა განსაზღვროს ინვესტორების წამახარისებელი მექანიზმები (მაგ: შეღავათიანი ტარიფი (feed in tariff), ქსერზე პრიორიტეტული დაშვება და ა.შ). თუმცა აღნიშნული მხარდამჭერი მექანიზმები უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვადე, წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომ მომხმარებლებმა იცოდნენ თუ რამდენს იხდიან განახლებადების ვარდებულების შესრულების სამთავრობო პოლიტიკაში.

გამჭვირვადობა გენერაციისა და ბუნებრივი გაზის ობიექტების მშენებლობის სფეროში

ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის ბაზრების შესახებ ღირექტივები აგრეთვე მოიცავს ახალი გენერაციისა და ბუნებრივი გაზის ობიექტების მშენებლობის ავტორიზაციის პროცედურებისათვის დეტალურ დებულებებს, რომლის მთავარი მოთხოვნა გამჭვირვადობაა.* ავტორიზაციის პროცედურა გულისხმობს გენერაციის ახალი ობიექტებისა და ბუნებრივი გაზის მოწყობილობების მშენებლობისა და ოპერირებისათვის საჭირო ნებართვების (მაგალითად, დიცენზია, კონცესია, თანხმობა ან დამტკიცება) გაცემის გამჭვირვადე კრიტერიუმებს. სახელმწიფო ვარდებუდია უზრუნველყოს ნებართვების გაცემის არადისკრიმინაციული, ობიექტური და გამჭვირვადე კრიტერიუმები, რომელმაც, მათ შორის, უნდა განსაზღვროს უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, მიწით სარგებლობის, საზოგადოებრივი ტერიტორიების, ენერგოეფექტურობის საკითხების გათვალისწინების საჯარო პრინციპები, რის მონიტორინგზეც, ასევე, პასუხისმგებელია მარეგულირებელი ორგანო.**

საქართველოში ინვესტორთა წახარისებისათვის მიღებული პრაქტიკაა ჰიდროსადგურების მშენებლობის მიზნით სახელმწიფოსა და ინვესტორებს შორის მემორანდუმების გაფორმება. თავდაპირველი ნაბიჯები ჰესების მშენებლობის წახარისებისათვის გადაიდგა 2008 წლის 22 აპრილს მიღებული დადგენილებით #107 - სახელმწიფო პროგრამა "განახლებადი ენერგია 2008" - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული პროგრამის ძირითადი პირობა იყო ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ასაშენებელი ჰიდროსადგურების ნუსხაში შემავალი ობიექტების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების მიზნით ინტერესთა გამოხატვაზე გამოტანა. 2013 წლის 31 აგვისტოს მთავრობამ მიიღო ახალი, #214 დადგენილება „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ვრცელდებოდა ნუსხაში შემავალ პროექტებზე, 2014 წლის 10 აპრილს კი მიღებულ-იქნა #40 ბრძანება, რომელიც




* ღირექტივა 2009/72/EC, მუხლი 7 და ღირექტივა 2009/73/EC მუხლი 4
** მე-8 მუხლი, ღირექტივა 2009/72/EC

ვრცელდება ნუსხის გარეთ არსებულ პროექტებზეც.

2013 წელს მიღებული #214 დადგენილებით, “* სამინისტრო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსებს ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხას და მათ თაობაზე სამინისტროში არსებულ ძირითად ინფორმაციას. ინტერესთა გამომხატვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია იურიდიულ პირს ან იურიდიულ პირთა კონსორციუმს. ინტერესთა გამომხატვაში მონაწილეთა მიმართ დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ინტერესთა გამომხატვის შედეგად, საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ (შემდგომში „ესკო“) და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებულ პირს (შემდგომში „გამარჯვებული პირი“) შორის იდება მემორანდუმი.

#214 დადგენილებების მიხედვით, „ინტერესთა გამომხატვის შედეგად გამარჯვებული პირის მიერ ელექტროსადგურის მშენებლობის, ოპერირების და ფლობის აუცილებელი პირობაა ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 წლის განმავლობაში, ყოველი წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეების განმავლობაში, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სრული ოდენობის რეალიზაცია სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან“ (ესკო) წინასწარ გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით“ ხოლო #40 ბრძანების მიხედვით, „ურთიერთგაგების მემორანდუმის აუცილებელი პირობაა ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად, იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში ელექტროსადგურის მიერ ფაქტობრივად გამომუშავებული ელექტროენერგიის სრული რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე“.

ჰიდროსადგურების დევდოპერებს სამინისტროსთან მოლაპარაკების საფუძველზე უდგინდებათ გარანტირებული შესყიდვის ტარიფი, თუმცა ტარიფის დადგენის პრინციპები მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. ტარიფები ცარკველი სადგურებისთვის დგინდება პროექტის ფინანსური მოდელის საფუძველზე, მაგრამ არ არის განსაზღვრული დასაშვები ნორმა ან სხვა პირობები. აღსანიშნავია ასევე, რომ #214 ბრძანების მიხედვით „იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული პირის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი და მასთან შეთანხმებული წინადადების მიხედვით იცვლება ასაშენებელი ელექტროსადგურის პარამეტრები (დადგმული სიმძლავრე, წილური გამომუშავება, საინვესტიციო ოდენობა და სხვა), რის შედეგადაც უმჯობესდება შესაბამის ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის ინვესტიციაზე უკუგების კოეფიციენტი, განხორციელდება მხარეთა შორის დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში/ხელშეკრულებაში ცვლილებები, პარამეტრების კორექტირებისა და “ესკოსთვის” მისაყიდი ელექტროენერგიის ფასის შემცირების მიზნით,



* #214 დადგენილება „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამომხატვის წესის დამტკიცების შესახებ“

იმდაგვარად, რომ შესაბამის ფინანსურ მოდერში უკუგების კოეფიციენტი დარჩეს უცვლელი. ხოლო თუ წარდგენილი და შეთანხმებული წინადადების შესაბამის ფინანსურ მოდერში ასახვის შედეგად არ იცვლება ან/და უარესდება უკუგების კოეფიციენტი, განხორციელდება მხარეთა შორის დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში/ხელშეკრულებაში ცვლილება მხოლოდ პარამეტრების კორექტირების მიზნით და “ესკოსთვის” მისაყიდი ელექტროენერგიის ფასი დარჩება უცვლელი (მუხრი 7 პუნქცი-21). აღნიშნული მიდგომა არ მოიცავს დეტალურ განმარტებებს და ინვესტორისათვის და ფინანსური ინსტიტუტებისთვის არასტაბილურ და არასაკმარის პირობას წარმოადგენს. მაგალითად, ხულონ ჰესს დადგენილი აქვს სავადღებულო სახელმწიფო შესყიდვა 10.5 ცენტად ცხრა წლის განმავლობაში, სხვა კომპანიებს - 6.5 ცენტად, ზოგიერთ სადგურზე კი ფასები საერთოდ არ არის ცნობილი.

აღსანიშნავია ასევე, რომ 2010 წლიდან 2014 წლამდე ნუსხის გარეთ მყოფი პროექტებისთვის ტარიფები და შესყიდვის ვადები დგინდებოდა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით, რადგან მათზე ამ პერიოდში არანაირი კანონმდებლობა არ ვრცელდებოდა, ამიტომაც ზოგიერთ ჰიდროსადგურს შესყიდვის პერიოდი აქვს 12 თვე, ზოგიერთს ნაკლები.

ინვესტორთან „ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულების“ (PPA) ფარგლებში ფასის დადგენა სამინისტროსთან მოლაპარაკებების შედეგად, მკაფიოდ წინასწარ-განსაზღვრული მეთოდოლოგიის გარეშე, ეწინააღმდეგება ევროპულ პრაქტიკას, ბაზრის გამჭვირვალობის შესახებ. მოცემული ვითარება არათანაბარ პირობებს ქმნის ინვესტორებისათვის, რის გამოც რომელიმე კომპანიამ შეიძლება უპირატესი მდგომარეობა მიიღოს კონკურენტებთან შედარებით. ასევე შესაძლებელია, რომ მოლაპარაკებულ პირობებით რომელიმე კომპანიამ შეზღუდოს ბაზარზე ახალი შემომსვლელები, რაც არახელსაყრელია სექტორში სტრატეგიული ინვესტორების მოსაზიდად და ეწინააღმდეგება ევროკავშირის მოთხოვნებს.

ასეთი პრაქტიკით ვიღებთ არა მომხმარებელზე, არამედ კონკრეტულ კომპანიებზე მორგებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს. შესყიდვის რისკები მთლიანად სახელმწიფოს ეკისრება და მომავალში ბიუჯეტის/მომხმარებლების გადასახდელია. მაღალი ადბათობით კომპანიამ შეიძლება მიიღოს არასაბაზრო დაუსაბუთებელი შესყიდვის ფასი რომელსაც საბოლოოდ დაუარავს მომხმარებელი, ელექტროენერგიის ტარიფით ან სახელმწიფო ბიუჯეტის გავლით.

ასევე აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებების მიღება ხდება ელექტროენერგეტიკული ან/და მთლიანად ენერგეტიკული სექტორის განვითარების ერთიანი ხედვის და ქვეყნისათვის სტრატეგიული ხარჯ-სარგებრიანობის ანალიზის გარეშე, იმის დეკლარირებით რომ „ჰიდროპოტენციალი მაქსიმალურად უნდა განვითარდეს“, თუმცა არ არის დაზუსტებული, რას



ნიშნავს „მაქსიმალური განვითარება“. ამ არაობიექტური და გაუმჭვირვადე მიდგომით გართულებულია სტრატეგიული ინვესტირების მოზიდვა, რაც ვდინდება მრავალი წამოწყებული პროექტის განხორციელების შეფერხებებში. პროცესის გაუმჭვირვადობა თავისთავად ბადებს პირადი თუ ჯგუფური დაინტერესების ეჭვებს და ამით აღვივებს პროექტებისადმი აღვირლობრივი მოსახლეობის და გარემოსდამცველების პროტესტს.

სექტორში არსებული მემორანდუმების სისტემის ხარვეზია ასევე სახელმწიფოს მხრიდან მრავალწლიანი ფინანსური ვადლებულებების აღება, რაც მის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. საერთაშორისო სავაღუტო ფონდის მიერ მომზადებულ 2017 წლის აპრილის ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოში ფისკალური რისკების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებსა და ინვესტირებს შორის გაფორმებული საჯარო და კერძო პარტნიორობის (PPPs) შეთანხმებები, მათ შორის ედექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები (PPA) წარმოადგენს. ასევე ნათქვამია, რომ რისკების მინიმიზაციისა და PPP და PPA-ებისგან სარგებდის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, აუცილებელია ახალი PPP კანონის მიღება. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ქვეყანის მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობისათვის აღევკვატურ ფისკალურ, მონეტარულ და ფინანსურ პოლიტიკასთან ერთად, აუცილებელია კომპლექსური სტრუქტურული რეფორმები ენერგეტიკის სექტორში.


შესაბამისად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით PPP კანონის და კანონქვემდებარე აქტების მიღებასთან ერთად, აუცილებელია დარგში რეფორმების განხორციელება „ენერგეტიკული გაერთიანების“ მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც მოიცავს ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას კონკურენციისა და გამჭვირვადობის მხრივ.

გამჭვირვადობა და ბაზრის დიბერალიზაცია

ევროკავშირის კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ენერგეტიკული ბაზრების დიბერალიზაციაზე, რაც გულისხმობს ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების არარსებობას და ბუნებრივი-მონოპოლიური და კონკურენტული საქმიანობების გაყოფას.

ედექტროენერგეტიკული სექტორი

ედექტროენერგეტიკულ სექტორში ქსელური და კონკურენტული საქმიანობის გაყოფა ეხება როგორც მაღალი ძაბვის გადამცემ ქსელებს, ასევე გამანაწილებელ ქსელებს. მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელების შემთხვევაში იგულისხმება საკუთრებითი გამიჯვნა გადაცემის და გენერაცია/მიწოდების საწარმოებს შორის, გამანაწილებელი ქსელის შემთხვევაში კი მისაღებია ამ საქმიანობათა ე.წ. სამართლებრივი გამიჯვნაც ანუ აუცილებელია შეუთავსებელი საქმიანობები



ხორციელდებოდა სხვადასხვა იურიდიული პირების მიერ, თუმცა დასაშვებია მათ ერთი მფლობელი ჰყავდეს.

საქართველოში ენერგეტიკური ბაზარი ჯერჯერობით არ ემყარება კონკურენციის პრინციპებს, გამანაწირებელი კომპანიები ამავდროულად მიმწოდებლები არიან და მომხმარებელს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არ აქვს. 2017 წლის თებერვარში ენერგეტიკური გაერთიანების სამდივნომ მოამზადა ენერგეტიკის შესახებ კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის რეგულირების ახალ, ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მყოფ პრინციპებს. კანონპროექტის მიხედვით, უნდა გაიმიჯნოს ქსელური და მიწოდების საქმიანობა და უნდა შემუშავდეს ქსელზე დაშვების არადისკრიმინაციული წესები. ეს ნიშნავს, რომ მაგარიტად სს “თედასი” რომელიც არის გამანაწირებელი (ქსელის ოპერირება/განვითარება, აღრიცხვა და სხვა) და ამავდროულად მიმწოდებელი, ანუ ყიდის მის მიერვე „მოტანილ“ ენერგიას, უნდა გადაკეთდეს იმდაგვარად, რომ განახორციელოს განაწირების საქმიანობა და თავისი ქსელით ელექტროენერგიის გაყიდვის საშუალება მისცეს ბაზარზე გამოჩენილ სხვა კომპანიებსაც.*


დაგეგმილი ცვლილების მიხედვით, მარეგულირებელი კომისიის კომპეტენციაში არ უნდა შედიოდეს გენერაციის ობიექტების ტარიფის დადგენა. ტარიფი უნდა დადგინდეს მხოლოდ ე.წ. ბუნებრივ მონოპოლიების, ანუ ქსელური საქმიანობის მქონე კომპანიებისთვის. ხოლო თავად ელექტროენერგიის ღირებულება ბაზარმა უნდა განსაზღვროს, რაც ამ სექტორში მანიპულირების შესაძლებლობას ეტაპობრივად გამორიცხავს.

ბუნებრივი გაზის სექტორი

საქართველოს ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზარი ფორმალურად პირდაპირი კონტრაქტების ბაზარია, სადაც ფორმდება როგორც მოკვრევადიანი, ისე გრძელვადიანი კონტრაქტები მომწოდებლებსა და საცარო მიმწოდებლებს თუ პირდაპირ მომხმარებლებს შორის. სინამდვილეში, სახელმწიფო დონეზე დადებული გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე ამ ბაზარზე დომინირებს ერთი ძირითადი საბითუმო მიმწოდებელი რის გამოც ბაზარი მოკრებულია მის მთავარ ფუნქციას - კონკურენციას. “სოკარ ჯორჯია გაზი” და მისი შვილობილ კომპანიები მონაწილეობენ როგორც საბითუმო, ასევე საცარო ბაზარზე და ბუნებრივი გაზით ამარაგებენ როგორც მიმწოდებლებს, ასევე საბოლოო მომხმარებლებს.

საქართველოს ბუნებრივი აირით პირველადი საბითუმო მომარაგება რამდენიმე განსხვავებული წყაროდან ხდება:

1. პირველადი მიწოდების დიდ ნაწილს შეადგენს გაზი რომელსაც საქართველო იღებს სატრანზიტო მიღსაღენებლად. სამხრეთკავკასიური მიღსაღენით გაზის ტრანზიტის ხელშეკრულებით განსაზღვრული შაჰდენიზის საბალოდან




* აღსანიშნავია, რომ ასეთი მოთხოვნა გათვარისწინებული იყო 1998 წელს ეი-ი-ეს სივრცულ ჰოლდინგ ბივის და საქართველოს მთავრობას შორის თედასის აქციების 75%-ის შესყიდვის ხელშეკრულებაში.

მომავალი დამატებითი და ოფციური გაზი, ასევე 2017 წლის ჩათვლით, რუსეთიდან სომხეთში ტრანზიტის საფასურად ნატურით მიღებული რუსული ბუნებრივი გაზი საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციას (GOGC) ეკუთვნის. თუმცა 2009 წელს აზერბაიჯანულ ნავთობკომპანია „სოკართან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით GOGC ამ „სატრანზიტო“ მთლიანად გადასცემს შპს „სოკარ გაზ იმპორტ-ექსპორტ“-ს, რომელიც „სოკარ ჯორჯია გაზის“ და მისი შვილობილი გამანაწილებელი/მიმწოდებელი კომპანიების მეშვეობით ან/და სხვა მიმწოდებელი კომპანიების გავლით ამ გაზს აწვდის ბუნებრივი გაზის ე.წ. „სოციალურ“ სეგმენტს - მოსახლეობას და თბოეფექტოსადგურებს.

2. იმავე ხელშეკრულებით, „სოკარი“ იღებს ვადდებულებას, უზრუნველყოს ქვეყანა ბუნებრივი აირის დამატებით საჭირო მოცულობებით, რაც საქართველოს გამომძარაგების მეორე, უმნიშვნელოვანესი წყაროა და საქართველოში შემოდის ე.წ. კომერციული გაზის სახით. სავარაუდოდ, ამ ხელშეკრულებით ასევე ბაღანსდება განსხვავება სატრანზიტო გაზის მოცულობებსა და ე.წ. „სოციალური სექტორის“ ფაქტიურ მოხმარებას შორის. ასევე „სოკარი“ იღებს ვადდებულებას უწყვეტ მიწოდებაზე სეზონური მოხმარების ცვარებალობის მიუხედავად. აღნიშნული ხელშეკრულება, ძალაშია 2030 წლამდე, თუმცა მისი დეტალები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის.*

3. გაზის შეძენა შესაძლებელია ასევე რუსეთიდან, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ „გაზპრომ-ექსპორტთან“ 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანზიტის შესახებ. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული გაზის ტრანზიტის საფასური არ საჯაროვდება,** თუმცა ცნობილია, რომ გაზპრომ-ექსპორტისაგან, საჭიროების მიხედვით, შესაძლებელია გაზის შესყიდვა 185 ლდარად ათას კუბურ მეტზე. სავარაუდოდ ეს ფასი აზერბაიჯანული „კომერციული“ გაზის ფასზე ნაკლებია, მაგრამ საქართველოს მხარე არ იყენებს ამ შესაძლებლობას იმისთვის რომ ნაწილობრივ მაინც ჩაანაცვლოს აზერბაიჯანის ე.წ. „კომერციული გაზი“ და შექმნას კონკურენტული პირობები. ამის გამო „სოკარ ჯორჯია გაზი“ სრულად ღომინირებს საქართველოს გაზის ბაზარზე. ეპიზოდურად ხორციელდება ასევე მცირე მოცულობის გაზის შესყიდვა რუსეთიდან ან ირანიდან, კონკრეტული კომერციული კომპანიების საჭიროებისათვის.

ბუნებრივი გაზის ბაზარი ორ განსხვავებულ სეგმენტს მოიცავს: მოსახლეობა და თბოეფექტოსადგურები შედარებით იაფად შეიძენენ ბუნებრივ გაზს და ე.წ. „სოციალურ“ სეგმენტს განეკუთვნებიან; ამ სეგმენტის სუბსიდირება ხდება საბაზროზე დაბალი ფასით გაზის მიწოდებით. დანარჩენი მომხმარებლები პირდაპირი კონტრაქტებით სხვადასხვა კომერციულ ფასად შეისყიდიან ბუნებრივ გაზს და, შესაბამისად, ე.წ. „კომერციულ“ სეგმენტს მიეკუთვნებიან. ამ სეგმენტში გაზის შესყიდვის ხელშეკრულებები უმეტესად



* დ. ჯერვარიძე “საქართველოს გაზის ბაზარი: მოკლე და საშუალოვადიანი გამონვევები”, 2017

** იხ. ამ საკითხის განხილვა მე-2 თავში

კონფიდენციალურია, ხოლო ფასის დადგენის პრინციპები არაგამჭვირვადე. კომერციულ სექტორში ფასი „მოღაპარაკების“ საგანია, მაშინ როდესაც ადრენალიტიკური მიმწოდებლები არ არსებობს. შესაბამისად „სოკარს“ ეძღვნა შესაძლებლობა, მიწოდების ფასებით ცვლით, პირდაპირი ზეგავრენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სეგმენტზე. კომერციული ტარიფები სამომხმარებლო ტარიფებზე მაღალია და განსხვავდება სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის (მაგ. პურის ქარხნები, საბიუჯეტო და საეკლესიო ორგანიზაციები იხდიან ნაკლებს ვიდრე სხვა იურიდიული პირები, განსხვავებულია ტარიფი პირდაპირი მომხმარებლებისთვისაც).

საინტერესოა კომერციული სექტორისთვის გაზის ტარიფის გარშემო 2015 წელს განვითარებული მოვლენები, როდესაც ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნის გამო დღის წესრიგში დადგა ბუნებრივი აირის საფასურის გაზრდის საკითხი კომერციული მომხმარებლებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლების ტარიფის ცვლილების საკითხი არ განხილულა). 2 თებერვარს „ყაზტრანსგაზმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 1 მარტიდან კომერციული მომხმარებლებისათვის გაზის ტარიფი 15 თეთრით გაძვირდებოდა და განისაზღვრებოდა 90 თეთრით ერთ კუბურ მეტრ გაზზე. 3 თებერვარს კი კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზი“ გამოვიდა იმავე ინიციატივით“. მარტში ენერგეტიკის მინისტრმა საზოგადოებას აუწყა კომერციული მომხმარებლებისთვის გაზის არსებული ტარიფის 1 მაისამდე შენარჩუნების შესახებ ბიუჯეტიდან სუბსიდირების ხარჯზე. მინისტრის განცხადებით, დაიგეგმა 15 მლნ. დარით სუბსიდირება. ტარიფის სუბსიდირება გაგრძელდა მაისშიც. ამ შემთხვევაში თავად ინფორმაცია ცნობილია, მაგრამ მის უკან მდგარი მოტივები და გარიგებები გაუმჭვირვადია.

პრაქტიკაში „კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია“ გაგებულია, როგორც ინფორმაცია, რომლის დაცვა აუცილებელია ეკონომიკური ღირებულების მქონე ინოვაციების ხელშეწყობისთვის, ან ინფორმაცია, რომლის გასაჯაროებამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური ზიანი. აგრეთვე, იგი ხშირად განიმარტება, როგორც „სავაჭრო საიდუმლოებები, რაც შეიძლება შედგებოდეს ნებისმიერი ფორმულის, ნიმუშის ან ინფორმაციათა კრებულისგან, რომელიც გამოიყენება ერთი ბიზნესისათვის და, რომელიც აძლევს [მფლობელს] შესაძლებლობას მოიპოვოს უპირატესობა კონკურენტზე, რომელმაც არ იცის, ან არ იყენებს.“

„სავაჭრო საიდუმლოებების“ კონკრეტული მაგარიტებია: მომხმარებელთა სიები, მარკეტინგური სტრატეგიებისა და პროდუქტისთვის კონკრეტული ფორმულები, შეთანხმების ფინანსური პირობები, სამუშაო ვარდებულებები, საოპერაციო მონაცემები, საწარმოო პროცესები, აქციონერთა ვინაობა, შემოსავლებისა და ფულადი ნაკადების მონაცემები, კაპიტალური და საოპერაციო ხარჯები, აგრეთვე, თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია და ა.შ.



რაც შეეხება საყოფაცხოვრებო სექტორს, ბოლო დრომდე სამომხმარებლო ტარიფებში განსხვავდება იყო 2008 წლის 1 აგვისტომდე და მის შემდგომ მიერთებული მოსახლეობისათვის. პირველათვის, ტარიფს ადგენდა სემეკი, ხოლო ე.წ „დერეგულირებული“ მოსახლეობისათვის, მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანების მიხედვით, ფასი დგინდებოდა მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. გასაგებია, რომ არტერნატიული მიმწოდებლების არქონის პირობებში ფასი არა შეთანხმებით, არამედ მიმწოდებლის ნებით, ან შესაძლოა მთავრობასთან „ჯენტლმენური“ შეთანხმებით დგინდებოდა, რაც ყველა შემთხვევაში გაუმჭვირვადე გარიგების ეჭვებს ბადებს.

2017 წლის 14 აგვისტოს მინისტრის ახალი ბრძანების მიხედვით, ძველი #69 ბრძანების მოქმედება „დერეგულირებულ“ მოსახლეობაზე შეწყდა და მათ ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფი დაუდგინდებათ ისევე როგორც დანარჩენ აბონენტებს*, რაც ამ სეგმენტში მეტი გამჭვირვალობის შეიტანს.

ტარიფზე სახელმწიფოს ზეგავრენა ზოგჯერ გაუმჭვირვადე პირდაპირი ჩარევითაც ვრინდება. მაგალითად 2013 წელს, სემეკის მიერ მოსახლეობისთვის 2007 წელს (სავარაუდოდ) ეკონომიკური გათვლებით დადგენილი ბუნებრივი აირის ტარიფი 50.62 თეთრი მ3--ზე, სახელმწიფოს მიერ გამანაწირებელი კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმების საშუალებით 5 თეთრით შემცირდა. შემცირების წყაროდ კი გაზის გადამცემი სახელმწიფო კომპანიის შემოსავლების შემცირება სახელდება. ანუ სავარაუდოდ პოლიტიკური და პოპულისტური მოსაზრებების საფუძველზე, სახელმწიფო კომპანიის ხარჯზე, სახელმწიფომ დაიწყო მოსახლეობის ტარიფის დამატებითი სუბსიდირება, რაც დღემდე მოქმედებს. ასეთი პოლიტიკური ჩარევის შედეგების შეფასება ცდება წინამდებარე კვლევის მიზნებს, თუმცა მკაფიოდ მიაჩნდება სახელმწიფო გადაწყვეტილებებში მეტი გამჭვირვალობის აუცილებლობას. უნდა აღნიშნოს, რომ გამჭვირვალობის მიმართულებით შეინიშნება ასევე დადებითი ძვრები:

მაგალითად, სემეკს აქვს წვდომა გამანაწირებელი/ მიმწოდებელი კომპანიების ხარჯების და შემოსავლების ინფორმაციაზე, თუმცა მათ „დერეგულირებულ“ საქმიანობაზე მისი უფლებამოსილებები არ ვრცელდება. საქართველოს კანონით ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ, „ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი, კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, ვარდებურია კომისიას წარუდგინოს კომერციულ პირობებთან დაკავშირებული მონაცემები და ინფორმაცია, რომლებიც მოიცავს ბუნებრივი გაზის შეძენის ფასს, თუმცა შეიძლება არ შემოიფარგებოდეს ამ ფასით. კომისიამ უნდა დაიცვას ფასებთან დაკავშირებული ყველა ამგვარი და სხვა ინფორმაციის კონფიდენციალობა, თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა და მიმწოდებელი (მუხრი 26)“.

2017 წელს სემეკსა და საქართველოს კონკურენციის



* საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 14 აგვისტოს #52 ბრძანება

სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი რომლის მიზანია საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობაზე ზრუნვა, კონკურენციის პოლიტიკის გამტკიცებადობის დაცვა და გაძლიერება, არადისკრიმინაციული წესების შემუშავება. მემორანდუმის ფარგლებში მხარეები თანამშრომლობენ ენერგეტიკის სფეროში კონკურენციის სავარაუდო დარღვევის ფაქტების შესწავლისა და რეაგირების მიმართულებით. ამ სამუშაოს ეფექტურად ჩატარება მნიშვნელოვანია ენერგეტიკული ბაზარზე კონკურენციის და გამტკიცებადობის დასაწესად.


საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ხელშეკრულების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დაინერგოს ევროკავშირის დირექტივა 2009/73/EC ბუნებრივი გაზის ბაზრის შესახებ. ეს შესაძლებლობა უნდა ეფექტურად იქნას გამოყენებული გაზის ბაზარში მეტი გამტკიცებადობის მისაღწევად.

კონტრაქტები მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის

მომხმარებლებს უფლება აქვთ ჰქონდეთ სრული ინფორმაცია იმ პროდუქტისა და სერვისის მთავარი მახასიათებლების შესახებ (ფასისა და გადასახადების ჩათვლით), რითაც ისინი სარგებლობენ. ელექტრობის და გაზის ბაზრის დირექტივების ერთერთი მთავარი მოთხოვნაა, რომ მიმწოდებლებმა უზრუნველყონ მომხმარებლების ინფორმირება ენერგიის მოხმარებაზე, ღირებულებაზე, ფასებსა და, ტარიფებზე, გადახდის მეთოდებზე, სერვისის ხარისხის და დავების მოგვარების მექანიზმებზე და ა.შ.* შესაბამისად, მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის კონტრაქტების პირობები და სტანდარტები უნდა იყოს მაქსიმალურად გამტკიცებადი.

საქართველოში ელექტროენერგეტიკის კუთხით მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობას არეგულირებს სემეკის დადგენილება „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შესახებ“. დადგენილების მიხედვით, ქსერზე მიერთების მსურვერი (განმცხადებელი) ვადებუდია, გამანაწილებელ ქსერზე მიერთების მოთხოვნით (ელექტრონული ან წერილობითი ფორმით) მიმართოს შესაბამის განაწილების დიცენზიანტს (მუხრი 26-2).** ფორმალური პროცედურების დასრულების შემდეგ, მიერთების მსურველს (განმცხადებელს) და ელექტროენერგიის განაწილების დიცენზიანტს შორის ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობის და საფასურის გადახდის წესი და პირობები.

გარდა ამისა, გამანაწილებელი კომპანიები („თელასი“ და „ენერგო პრო ჯორჯია“) მომხმარებლებს ვებ გვერდის საშუალებით სთავაზობენ დეტალურ ინფორმაციას ქსერზე მიერთების წესის შესახებ. ვებ გვერდზევა ხელმისაწვდომი



* მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები დეტალურად განმარტებულია დირექტივის I დანართში
** საქართველოს ენერგეტიკისა და წყარმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №19
2011 წლის 16 ნოემბერი

ხედმისაწვდომი ინფორმაცია მიერთების საფასურის და ვადების შესახებ სიმძლავრეების მიხედვით და შესაბამისი განცხადებების ელექტრონული ვერსიები.


მსგავსად ელექტროენერგიისა, ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების წესი და პირობებიც არის გამჭვირვადი და განისაზღვრება სემეკის დადგენილებით “ბუნებრივი გაზის მიწოდების და მოხმარების წესების შესახებ”. ქსელთან მიერთების წესები და პროცედურებიც მოცემულია როგორც სემეკის, ასევე გამანაწილებელი კომპანიების ვებ გვერდებზე. ბუნებრივი გაზის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება კი მოიცავს ინფორმაციას მხარეთაა უფლება-მოვალეობების, ფასის, ანგარიშსწორების წესის და პირობების, მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში დაწესებული სანქციების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის ხედმისაწვდომობა უზრუნველყოფს მომხმარებლების ინფორმირებას საბოლოო ტარიფის შესახებ, თუმცა ტარიფში გაზის შესყიდვის კომპონენტის შესახებ ინფორმაცია ნაკლებად გამჭვირვადია.

ღია და გამჭვირვადი გადართვის წესები

ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, საცარო ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია მომხმარებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა მიმწოდებელს შორის არჩევანის თავისუფლება, ამისათვის კი საჭიროა გააჩნდეთ წვდომა ღია და გამჭვირვადი გადართვის წესებზე, რომლის შემუშავებაზე და განხორციელების მონიტორინგზე პასუხისმგებელია მარეგულირებელი ორგანო.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს #77 ბრძანების მიხედვით „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“, ელექტროენერგიის მყიდველს უფლება აქვს გახდეს პირდაპირი მომხმარებელი და ელექტროენერგია შეისყიდოს ელექტროენერგიის ნებისმიერი გამყიდველისგან, თუ მისი წლიური მოხმარება შეადგენს არანაკლებ 1 კვტ. სთ ელექტროენერგიას (მუხრი 31) თუმცა პრაქტიკაში ამ პირობის შესრულება შეუძლებელია, რადგან ბაზარზე არ არსებობს რამდენიმე გამყიდველი, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მომხმარებლებს შეესყიდათ ელექტროენერგია. დღეისათვის ელექტროენერგიის მიწოდების რიცენზია თბილისში აქვს „თედასს“ ხოლო რეგიონებში „ენერგო პრო ჯორჯის“, შესაბამისად, მომხმარებელი არჩევანის გარეშეა.

იგივე მდგომარეობაა ბუნებრივი გაზის შემთხვევაშიც. სემეკის 2009 წლის 9 ივლისის #12 დადგენილების მიხედვით „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საცარო მომხმარებელმა (აბონენტმა), რომელსაც სურს მიიღოს და მოიხმაროს ბუნებრივი გაზი, ამ წესების შესაბამისად განაცხადი უნდა წარუდგინოს **მის მიერ შერჩეულ მიმწოდებელს** (მუხრი 4), თუმცა მიმწოდებლების რაოდენობა, მსგავსად ელექტროენერგეტიკური სექტორისა,



გაზის სექტორშიც არ იძლევა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.

რეფორმების განხორციელების და ევროკავშირის ღირებულებების დანერგვის კვარდაკვად უნდა მოხდეს ბაზრის გახსნა და მომხმარებელთათვის არჩევანის მინიჭება, თუმცა კონკრეტული მექანიზმები ჯერ კიდევ დასამუშავებელია, განსაკუთრებით, ენერგოკომპანიებთან დადებული გრძელვადიანი მემორანდუმების მოქმედების პირობებში.

ენერგიის მოხმარების ზუსტი აღრიცხვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ევროკავშირის ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის ბაზრების შესახებ ენერგეტიკური კანონმდებლობისა და ენერგოეფექტურობის ღირებულების მიხედვით, მომხმარებელს ასევე უფლება აქვს ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარი მოხმარების ზუსტი აღრიცხვის შესახებ და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით იფიქროს ენერგიის მოხმარების შემცირებაზე ან გამოიყენოს იგი სხვა, ანალოგიურ სერვისებთან შედარებისა და ხარისხის შესაფასებლად. ამ კუთხით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენერგიის ჭკვიანი სისტემები, რომელთაც შესაძლებელია ენერგიის რეალურ დროში აღრიცხვა, ფასებისა და მოხმარების შესახებ ინფორმაციის მიღება. შესაბამისად, ენერგეტიკურ სისტემებში მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და ამ მონაცემებზე მომხმარებელთა წვდომის უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ენერგიის მოხმარების ჭკვიანი აღრიცხვის სისტემების დანერგვას.*

საქართველოში მომხმარებლის ინფორმირება საკუთარი მოხმარების აღრიცხვის შესახებ ხორციელდება გამჭვირვარედ, მიმწოდებელი კომპანიების მიერ ყოველთვიურად დაგზავნილი ქვითრებით, როგორც ელექტროენერგეტიკის, ისე ბუნებრივი აირის სფეროში. ქვითრებზე მოცემულია ინფორმაცია მოხმარებული ენერგიის რაოდენობის და ფასის შესახებ როგორც ყოველ მოხმარებულ ერთეულზე, ისე - ჯამურად ერთი თვის განმავლობაში. ტარიფის შესახებ ინფორმაცია კომპონენტების მიხედვით ხელმისაწვდომია სემეკის წერიურ ანგარიშებსა და ტარიფების საჯარო განხილვის სხდომებზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. სამომავლოდ იგეგმება აღნიშნული ინფორმაციის დატანა სამომხმარებლო ქვითრებზე, რაც მომხმარებლებს უფრო სრულყოფილ ინფორმაციას მიაწვდით მათ მიერ მიღებული მომსახურების შესახებ.


რაც შეეხება ჭკვიანი მრიცხველების სისტემას, რომელიც საათობრივად ანგარიშობს მოხმარებული ენერგიის ღირებულებას, საქართველოში მსგავსი პრაქტიკა ჯერჯერობით არ არსებობს, რადგან ენერგიაზე ფასი დღის განსხვავებულ მონაკვეთებში ერთნაირია ყველა მომხმარებლისათვის.

ფინანსური ანგარიშების გამიჯვნა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

აუცილებელია, რომ ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია

* მუხლი 9, ღირებულება 2012/27/EU

ენერგოკომპანიების შემოსავლების შესახებ იმისათვის, რომ მარეგულირებელმა, ბაზრის მონაწილეებმა და მომხმარებლებმა შეაფასონ ბაზრის გახსნის რისკი, სამართლიანობა, კონკურენტუნარიანობა და დაცულობა ჯვარედინი სუბსიდირებისგან, ამასთან, აუცილებელია საწარმოების მიერ გადაცემის, განაწილების, მიწოდებისა და ენერგიის საცავებთან დაკავშირებული საქმიანობების ანგარიშების გამიჯვნა და ცარ-ცარვე აღრიცხვა,* რაც, მონიტორინგის მიზნით, ხედმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოებისათვის. ანგარიშები უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას, მათ შორის, საწარმოების მოგება-ზარალის, აქტივების, ვალდებულებების, ხარჯების, ქსელის საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით და ა.შ.



საქართველოში მარეგულირებელი კომისია სრულად იღებს ინფორმაციას მისი რეგულირების ქვეშ მყოფი რიცენზიანტების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელზე დაყრდნობითაც ხდება ტარიფის გაანგარიშება და დადგენა. კომპანიები ფინანსურ ანგარიშებს წარადგენენ ყოველწლიურად. ანგარიშებში ჩაშრილია გადაცემის და განაწილების კომპონენტები, რაც გამორიცხავს ჯვარედინი სუბსიდირების არსებობას.

ბაზარზე გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, ანგარიშების აღრიცხვასთან ერთად, აუცილებელია, საწარმოების მიერ ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის წინასწარი და შემდგომი გამოქვეყნება, რომ გაუმჭვირვალობის და ბაზარზე არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის გამო ფასები არ იყოს დისკრიმინაციული.

ამ შემთხვევაში ელექტროენერგეტიკული ბაზის ოპერატორი (ესკო) რეგულარულად აქვეყნებს ელექტროენერგიის საბაზანსო ბაზრის მონაცემებს თვეების მიხედვით. რაც შეეხება გაზის ბაზარს, ბაზარი შედგება პირდაპირ კონტრაქტებისგან, რომლებიც როგორც ზემოთ აღინიშნა, არ არის გამჭვირვადი.

აღსრულების მექანიზმი-მარეგულირებელი ორგანოების როლი

ეფექტიანი აღსრულება გადამწყვეტია სწორი რეგულირების სისტემის არსებობისთვის. ევროკავშირის დირექტივები წამყვან როლს ანიჭებენ მარეგულირებელ ორგანოებს, რომელთაც უნდა ჰქონდეთ სათანადო უფლებამოსილება და ტექნიკური შესაძლებლობები, რომ დამოუკიდებლად გაუწიონ მონიტორინგი ბაზრის სუბიექტების მიერ გამჭვირვალობისა და კონკურენციის პრინციპების დაცვას.

ეფექტიანი მონიტორინგისათვის, „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ მოთხოვნებით, აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს შორის, ასევე, მომხმარებლებსა და კონკურენციის სააგენტოებს შორის. მომხმარებელთა უფლებების დაცვის

* Chapter VII , Unbundling and Transparency of Accounts

მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, ასევე, ენერგომომხმარებლებს, რომლებსაც აქვთ უშუალო ურთიერთობა მომხმარებლებთან და, შეუძლიათ დავების მოგვარების ხელშეწყობისთვის სამართლიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება და მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება.

საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეგულირება ენერგეტიკისა და წყარმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემევი) კომპეტენციაა. სემევი 1997 წელს ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში არ ექვემდებარება არც ერთ სხვა სახელმწიფო უწყებას და ორგანიზაციას. სემევის სტატუსი სრულად შეესაბამება ევროპულ პრაქტიკას, რადგან არის ერთადერთი მარეგულირებელი ორგანო ენერგეტიკის სექტორში და არ ხდება მისი საქმიანობების გადაფარვა სხვა უწყებებთან, თუმცა არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზები, ხელს უშლის სემევის, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებლის ფუნქციების სრულყოფილ განხორციელებას. მაგალითად, 2006 წელს არსებითად შეიცვალა ბაზრის სტრუქტურა საქართველოში და სექტორის რეგულირების ფუნქციების მნიშვნელოვანი ბერკეტები გადაეცა ენერგეტიკის სამინისტროს, მათ შორის, ელექტროენერგიის და გაზის ბაზრის წესების დამტკიცება, დერეგულირება, ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაღანსის დამტკიცება, ბაზრის მონიტორინგი კი მარეგულირებლის კომპეტენციად განისაზღვრა. ამდენად, სემევი მონიტორინგს უწევს ბაზარს, რომლის წესებიც თვითონ არ დაუდგენია. ევროკავშირის კანონმდებლობა ცარსახად აღნიშნავს, რომ ბაზრის წესებს უნდა ადგენდეს მარეგულირებელი ორგანო.

კომისია თავის საქმიანობას უნდა წარმართავდეს გამჭვირვადედ. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონის მიხედვით, კომისია ვალდებულია ყოველწლიურად გამოქვეყნოს თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში, რომელსაც უგზავნის საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს და სამინისტროს. ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვისაც (მუხრი 21). კომისია ასევე ვალდებულია ყოველი წლის 31 მარტამდე მოამზადოს და გამოაქვეყნოს გასული წლის ფინანსური ანგარიში, რომელშიც უნდა აისახოს კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასურიდან მიღებული თანხები და კომისიის მიერ ამ თანხების გამოყენება, აგრეთვე წლის განმავლობაში აღებული სესხები და კომისიის მიერ გამოყენებული სხვა თანხები. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა. (მუხრი 20).

სემევი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველწლიურად აქვეყნებს წლიურ ანგარიშებს, რომელთა შინაარსი წრიდან წრიამდე უმჯობესდება და მოიცავს მრავალმხრივ ინფორმაციას და ანალიზს. მაგალითად, 2016 წლის ანგარიში შეიცავს როგორც ელექტროენერგიისა და გაზის ბაზრების დეტალურ აღწერას და წლის განმავლობაში რეგულირებასთან




დაკავშირებულ საქმიანობას, ასევე იძლევა დეტალურ ინფორმაციას დარგში განხორციელებული და დაგეგმილი სიახდეების შესახებ. ანგარიშში ასევე მოცემულია ინფორმაცია სადაო საკითხების გადაწყვეტის შესახებ წლის განმავლობაში, საერთაშორისო ურთიერთობები და სიახდეები ამ მიმართულებით, ასევე - ადამიანური რესურსების მართვისა და ინფორმაციის გამჭვირვარობის შესახებ ინფორმაცია. კომისიის წიურ ანგარიშებში ცარვე თავი ეთმობა ბიუჯეტს და მისი შესრულების პარამეტრებს. კომისიის ბოლო 2 წლის ანგარიშის ეს ნაწილი, წინა წლების ანგარიშებთან შედარებით, გაუმჯობესებულია და მოიცავს ინფორმაციას შემოსავლების შესახებ სექტორების მიხედვით (წიურად და კვარტალურად) და - ხარჯების შესახებ სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, მათ შორის: ძირითადი საშუალებების შეძენა, საქონელი, მომსახურება, დაზღვევა, საწვრო გადასახდელი, ხელფასები, მივლინება და ა.შ.)

სემეკზე ასევე სრულად ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციური კოდექსის III თავის 49-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით. კომისია ვარდებულია გასცეს მოთხოვნილი ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან 10 დღის ვადაში. ყოველწიურად სემეკი აქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ სადაც დეტალურად არის მოყვანილი მარეგულირებელში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვით შესული განცხადებები წლის განმავლობაში და მათი სტატუსი. გამოთხოვნილი ინფორმაციის უმეტესობა სრულად არის დაკმაყოფილებული, ზოგიერთი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ და ამ შემთხვევაში განმარტებულია მიზეზები.

გამჭვირვარობის კუთხით აღსანიშნავია სემეკის გადაწყვეტილებების გამოქვეყნების და საჯარო სხდომების წარმოების წესი. კომისიის ვებ გვერდზე ცარვე არის გამოყოფილი საჯარო წარმოებისა და საჯარო სხდომების განყოფილებები, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილებების ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. სხდომების ძირითადი ნაწილი საჯაროა. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნდება საჯაროდ. შესაბამისი დადგენილებები ასევე ქვეყნდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ გვერდზე. ვებ გვერდზე ასევე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მომხმარებლებისთვის, როგორ უნდა მოხდეს ელქტროენერგიის, გაზის და წყლის სექტორში აბონენტად რეგისტრაცია, რა ტარიფები მოქმედებს, როგორია დარიცხვისა და საფასურის გახდის წესი, როგორ უნდა მოხდეს სიმძღავრის გაზრდა და ა.შ.

„ერექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კომისიის ერთერთი ძირითადი ფუნქციაა რიცენზიანტებს, მცირე სიმძღავრის ერექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების



გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. სადავო საკითხების გადაწყვეტისას კომისია დამოუკიდებელია. იგი სადავო საკითხს წყვეტს მიუკერძოებლად, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის აპარატისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა კომისიის უმნიშვნელოვანეს ფუნქციად რჩება. კომისიის სხდომაზე სადავო საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის ფორმით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, რაც შესაძლებლობას აძლევს მოდავე მხარეებს, მაქსიმალურად სრულყოფილად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები სადავო საკითხთან დაკავშირებით, წარმოადგინონ მტკიცებულებები, დააყენონ შუამდგომლობები და ა.შ.



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მარეგულირებელი კომისია გამჭვირვალობის მხრივ სრულად ასრულებს კანონის მოთხოვნებს და შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებს იმ სფეროებში სადაც მისი რეგულირება ვრცელდება. ევროკავშირის ენერგეტიკური კანონმდებლობის შესაბამისად აღსადგენია სემეკის მიერ ბაზრის რეგულირების ფუნქციები, რაც სავარაუდოდ შემდგომი გამჭვირვალობის და სტაბილური გარემოს შექმნის წინაპირობა გახდება.

სტატისტიკურ მონაცემთა გამჭვირვალობა და საჯაროობა

ენერგეტიკური სტატისტიკის მონაცემები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენერგეტიკის სექტორში არსებული ტენდენციების ანალიზისა და შეფასების თვალსაზრისით. გარდა ამისა, დეტალური, სრულყოფილი და სანდო სტატისტიკა აუცილებელია აღნიშნულ დარგში არსებული მდგომარეობის მონიტორინგის თვალსაზრისით. სტატისტიკა ენერგორესურსების წარმოების, განაწილების, მიწოდების, მოთხოვნისა და მოხმარების შესახებ წარმოადგენს საფუძველს გონივრული ენერგეტიკური პოლიტიკის გატარებისათვის.

საქართველოში სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვებაზე, დამუშავებაზე, ანალიზსა და გავრცელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას. სამსახური შექმნილია “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს 2009 წლის 11 დეკემბრის კანონის საფუძველზე.

საქსტატი თავის საქმიანობას ახორციელებს ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, რომელიც ეფუძნება გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ 1994 წელს მიღებულ დეკლარაციას “ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ” და უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობასა და საჯაროობას. სტატისტიკურ მონაცემთა ხერმისაწვდომობასა და საჯაროობას არეგულირებს

ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე და 27-ე მუხლები,* რომლის თანახმადაც სტატისტიკური მონაცემები საჯაროა, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებთანაც შესაძლებელია დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირება.

საქსტატი სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებში უსასყიდლოდ უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების ელექტრონული ფორმით მიწოდებას ყველა მომხმარებლისათვის, ხოლო ბეჭდური სტატისტიკური პუბლიკაციების მიწოდებას უზრუნველყოფს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, გარდა ადმინისტრაციული ორგანოებისა, სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისა, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობებისა, უცხო ქვეყნის სტატისტიკური ორგანოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გამავრცელებელი საერთაშორისო ორგანიზაციებისა.

სტატისტიკური მონაცემების გამჭვირვალობისა და საჯაროობის საკითხებს უზრუნველყოფს აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი,* რომლის მე-10 მუხლის მიხედვით ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ვადლებულია უზრუნველყოს საკითხის საჯაროდ განხილვა, თუ ამას ითვადისწინებს კანონი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვადისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. საჯარო დაწესებულება ვადლებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით.

კოდექსის 37-ე მუხლი აღიარებს მოქალაქეთა უფლებას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით და განსაზღვრავს მისი მოთხოვნის წესებსა და პირობებს. გარდა ამისა, კოდექსის 37.1 მუხლში ჩამოყალიბებულია საჯარო დაწესებულებისათვის პერსონალური მონაცემებისა და კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხები, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულება ვადლებულია სათანადო წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა საჯარო დაწესებულებაზე ცნობის სახით გასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებასაც წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია.

სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობა

საქსტატის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს



* საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ

** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა, ამ თვალსაზრისით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და ინფორმაციის მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენების უზრუნველყოფა.

კონფიდენციალურობის პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს უწყების პროფესიული დამოუკიდებლობა, საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, * საქსტატის დებულება და კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. ** საქსტატი აგრეთვე იზიარებს გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ კონფიდენციალურობის არსს.

კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ არეგულირებს მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის საკითხს და განსაზღვრავს ამ მხრივ საქსტატის ორგანოებში დასაქმებულთა ვალდებულებას და პასუხისმგებლობას.


აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და გა-მოიყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის.

კონფიდენციალურია სტატისტიკური მიზნით შეგროვებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა.

მსგავსი ტიპის ინფორმაციას მიეკუთვნება, მაგარიტად ინფორმაცია ცარკვეური საწარმოს ღონებზე წარმოების მოცულობის, გამოყენებული ნედლეულის, გაყიდვების ან ამა თუ იმ ენერგორესურსის მოხმარების შესახებ. ეკონომიკური მაჩვენებლები ცარკვეური იურიდიული თუ ფიზიკური პირის ღონებზე წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, არ ექვემდებარება გასაჯაროებას და გამოიყენება მხოლოდ აგრეგირებული სახით, სტატისტიკური მიზნებისათვის.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა, რაც განისაზღვრება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ინფორმაციის გამომხივებაზე. ხოლო კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძაღებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება.

ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონთან



* საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ

** საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შე-სახებ“

ერთად, მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვას ემსახურება აგრეთვე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა, მათ შორის – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების.


მონაცემთა კონფიდენციალურობისა და პროფესიული საიდუმლოების საკითხებს არეგულირებს აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის 27.3 მუხლის შესაბამისად, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მუხლის თანახმად, პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას, ხოლო 42-ე მუხლში დეტალურადაა აღწერილი ყველა ის ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია.

კოდექსის 272-ე მუხლი განმარტავს აგრეთვე კომერციულ საიდუმლოებას, რომელსაც მიეკუთვნება ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის სანარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახდეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ამასთან, ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

აღსანიშნავია, რომ გარდა ზემოთქმულისა, “ელექტროენერგიის ბაზრის წესების შესახებ” საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანების მე-11 მუხლი ეხება ინფორმაციის კონფიდენციალურობის საკითხებს, რომლის თანახმადაც ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის რიცენზიანტი და სისტემის კომერციული ოპერატორი ვალდებული არიან არ გაამჟღავნონ პირდაპირ ხელშეკრულებაში მოცემული ფასები (გარდა რეგულირებადი და ზღვრული ტარიფებისა), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ითვალისწინებს მესამე პირებისათვის ამ ინფორმაციის მიწოდებას.

ენერგეტიკური კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე აქტების მიმოხილვა მონაცემების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით

ენერგეტიკის სტატისტიკასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების, ისევე როგორც სხვა დანარჩენი სექტორის ამსახვერი ინფორმაციის გამჭვირვალობისა და საჯაროობის საკითხები ზოგადად რეგულირდება საქართველოს კანონით “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ”. დღეის მდგომარეობით



არ არსებობს ცადვე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის გამჭვირვალობის საკითხებს ენერგეტიკის სექტორში.


ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და გავრცელება ხორციელდება საქსტატის მიერ სტატისტიკურ სამუშაოთა სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. აღნიშნული ღოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში ენერგეტიკის სტატისტიკასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს.

რაც შეეხება ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა შეგროვებას, სამართლებრივად რეგულირდება ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონით, რომლის მიხედვითაც საქსტატთან თანამშრომლობა არის სავალდებულო. კანონის 25-ე მუხრი (სტატისტიკური მონაცემების და სხვა ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება) განსაზღვრავს ყველა სუბიექტის მიერ საქსტატისთვის სტატისტიკური და სხვა ინ-ფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული კანონის 25-ე მუხრის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, საქსტატი უფლებამოსილია აღმინისტრაციული ორგანოებისაგან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური მონაცემი და სხვა ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური ან/და პერსონალური მონაცემების შემცვერი ინფორმაცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთან, აღმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიაწოდონ საქსტატს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესახებ.

25-ე მუხრის მესამე და მეოთხე პუნქტების შესაბამისად, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული პირები ვალდებული არიან, საქსტატის წერილობითი, მათ შორის, ელექტრონული სახით, მოთხოვნის შემთხვევაში მატერიალური ან ელექტრონული სახით წარუდგინონ მას მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური. ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებში საქსტატისათვის ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

ინფორმაციის წარდგენის ვადას ადგენს საქსტატი სტატისტიკური კვლევის პერიოდის გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა იყოს ადრესატისათვის წერილობითი ან ელექტრონული სახით მოთხოვნის ჩაბარებიდან 7კალენდარულ



დღეზე ნაკლები.


აღრესათისათვის წერილობითი მოთხოვნის ჩაბარება უნდა დადასტურდეს სათანადო დოკუმენტით, ხოლო აღრესათის მიერ ედექტრონული წერილის მიღება – საპასუხო ედექტრონული წერილით. წერილის ჩაბარებაზე უარის თქმის შემთხვევაში წერილი ჩაბარებულად ითვლება. ამასთან, აღმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს პირს ინფორმაციის წარღვევის ვადლებულების შესრულებისგან.

ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა მონიტორინგი რეგულირდება აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონით - “ედექტრო-ენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანებით - “ედექტროენერგიის ბაზრის წესების შესახებ”.

“ედექტროენერგიის ბაზრის წესების შესახებ” საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანების 26-ე მუხლი განსაზღვრავს ედექტროენერგიის წარმოებისა და განაწილების შესახებ მონაცემთა შეგროვების საკითხებს, რომლის მიხედვითაც ყველა კვადრანტიური საწარმო ვადლებულია თავის მფლობელობაში ან/და მართვაში არსებული საშუალებებით აღრიცხოს მის მიერ წარმოებული, სადტეზე გაცემული, გადაცემული, მოხმარებული და განაწილებული ედექტროენერგიის რაოდენობა. ამასთან აღნიშნული მონაცემები ხედმისაწვდომი უნდა გახადონ ედექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის დიცენზიისათვის, სისტემის კომერციული ოპერატორისა და აგრეთვე თავისი კონტრაგენტი მხარეებისათვის.*

აღნიშნული ბრძანების 33-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც აყალიბებს ედექტროენერგიის აღრიცხვის პრინციპებს, კვადრანტირებული საწარმო და გადაცემისა და ედექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის დიცენზიატი ვადლებულია აღრიცხოს წარმოებული, მიწოდებული, გადაცემული ან მიღებული ედექტროენერგიის და სიმძღავრის სრული რაოდენობა. წარუდგინოს დისპეტჩერიზაციის დიცენზიატს და კომერციულ ოპერატორს აღრიცხვის ყველა მონაცემი და უზრუნველყოს აღნიშნული ინფორმაციის ხედმისაწვდომობა ნებისმიერი სხვა კონტრაქტორი ან ფიზიკურად დაკავშირებული მხარისათვის. გარდა ზემოთქმულისა, ენერგეტიკური ინფორმაციის საჯაროობას გარკვეულწილად არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყარმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებები “ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ” და “ედექტროენერგიის (სიმძღავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ”.

“ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ” დადგენილებაში ინფორმაციის საჯაროობას ეთმობა მე-7 თავი, რომლის 33-ე მუხლში ჩამოყალიბებულია მიმწოდებლის და განაწილების დიცენზიანტის ვადლებულებები გარკვეული ტიპის ინფორმაციის



* ედექტროენერგიის (სიმძღავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება #77, 30.08.2006

საჯაროობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. აღნიშნული მუხრის თანახმად, მიმწოდებელი და განაწილების რიცენზიანტი ვარდებული არიან ამ მუხრში მოცემული ინფორმაცია განათავსონ ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე (მათ შორის ოფიციალურ ვებგვერდზე) ისე, რომ არ მოხდეს სხვა პირის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება; ამასთან გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლება უნდა განხორციელდეს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღეში. ბუნებრივ გაზთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის საჯაროობის საკითხები განსაზღვრულია აგრეთვე აღნიშნული დადგენილების 34-ე, 35-ე და 36-ე მუხლები.

რაც შეეხება ელექტროენერგიის შესახებ მონაცემთა საჯაროობის საკითხებს, განსაზღვრულია და რეგულირდება “ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ” სემეკის დადგენილების მე-16 მუხლით.

ინფორმაციის ნაკადები ენერგეტიკაში - გამჭვირვალობასა და საჯაროებაზე პასუხისმგებელი ორგანოები

საქართველოში ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა შეგროვებაზე, დამუშავებასა და ანალიზზე პასუხისმგებელია საქსტატი, თუმცა აღსანიშნავია რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკისა და წყარმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) და ასევე სხვა დაწესებულებები ჩართუნი არიან და აქტიურად მონაწილეობენ აღნიშნულ სისტემაში. შესაბამისად ისინი წარმოადგენენ ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა წყაროებს და ითვლებიან მნიშვნელოვან მონაწილეებად ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესში.

2014 წლიდან საქსტატსა და ენერგეტიკის სტატისტიკის სისტემაში მონაწილე სხვადასხვა დაწესებულებას შორის ჩამოყალიბდა მჭიდრო თანამშრომლობა, რამაც უდიდესი წვლილი შეიტანა სტატისტიკურ მონაცემთა მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და ზოგადად ქვეყანაში ენერგეტიკის სტატისტიკის სისტემის გაუმჯობესების საქმეში.

ქვეყნის ენერგეტიკის სტატისტიკის სისტემაში ჩართუნი არიან შემდეგი დაწესებულებები:


- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
 - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
 - საქართველოს ენერგეტიკისა და წყარმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)
 - ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი (ესკო)
 - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
 - საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
 - საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია
- საქსტატი ყოველწლიურად აგროვებს სხვადასხვა ინსტიტუციური



სექტორიდან მონაცემებს ენერგორესურსების წარმოებისა და მოხმარების შესახებ. სხვადასხვა კვდევების დეკლარირებულ მონაცემებზე, ადმინისტრაციულ წყაროებზე და ექსპერტულ შეფასებებზე დაყრდნობით ყოველწიურად ამუშავებს ენერგეტიკურ ბაღანსს და უზრუნველყოფს მისი მომხმარებლებისთვის ხედმისაწვდომობას.

ენერგეტიკის სტატისტიკის წარმოების პროცესში საქსტატი მის მიერ ორგანიზებული კვდევის შედეგების გარდა აქტიურად იყენებს სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროდან მიღებულ მონაცემებს. მაგადითად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ფრობს ინფორმაციას ედექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების შესახებ, რომედიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას დინამიკური მწკრივების წარმოების თვადსაზრისით; სემეკი შეიძლება ჩაითვადოს ედექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მოხმარების შესახებ მონაცემების ძირითად წყაროდ, რადგანაც ქვეყანაში აღნიშნული ენერგორესურსების მოხმარების მონიტორინგი ხორციელდება მის მიერ; ესკო და სსე წარმოადგენენ ძირითად წყაროს ედექტროენერგიის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ; საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია საქსტატს წარუდგენს ყოველთვიურ მონაცემებს როგორც ბუნებრივი გაზის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ, ისე ნედლი ნავთობის მოპოვების შესახებ;

გარდა ამისა, საქსტატი აგროვებს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან ყოველწიურ ინფორმაციას ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვების შესახებ, ხოლო საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიიდან - ყოველთვიურ ინფორმაციას ბუნებრივი გაზის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ. ეს უკანასკნელი წარმოადგენს აგრეთვე ბუნებრივი გაზის წარმოების, იმპორტისა და მიწოდების შესახებ ყოველწიური მონაცემების ერთადერთ წყაროს.



ერექტროენერგიით საგარეო ვაჭრობის მონაცემები ინარმოება ერექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისა და საქართველოს სახელმწიფო ერექტროსისტემის მიერ, ბუნებრივი გაზის, ასევე ნედრი ნავთობის ექსპორტ-იმპორტის მონაცემები - გაზის ტრანსპორტირების კომპანიისა და ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ, ხოლო დანარჩენი ენერგორესურსებით საგარეო ვაჭრობის მონაცემების ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

აღსანიშნავია, რომ რეგულარულად იზრდება ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა სახეობები, შესაბამისად იზრდება მათი გამოყენება და მზარდია მომხმარებელთა რიცხვი. ოფიციალურმა სტატისტიკამ მომხმარებელთათვის მონაცემების მიწოდებასთან ერთად უნდა უზრუნველყოს მონაცემთა გამჭვირვალობა და საჭაროობა, ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად.

ამ ეტაპზე ენერგეტიკის სტატისტიკის სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კანონმდებლობით არ არის ცაღსახად განსაზღვრული სისტემაში ჩართული დაწესებულებების კონკრეტული ფუნქციები, ვადებულებები და პასუხისმგებლობები, ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა შეგროვებასთან და შესაბამისი მაჩვენებლების გაანგარიშებასთან დაკავშირებით.

ევროკავშირის სტატისტიკის დირექტივების ძირითადი მოთხოვნების მიმოხილვა ენერგეტიკული ინფორმაციის გამჭვირვალობისა და საჭაროობის თვალსაზრისით


რეგულირდება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს შემდეგი რეგულაციებით:

- რეგულაცია 2016/1952 (2016 წლის 26 ოქტომბერი) “გაზის და ერექტროენერგიის ფასების გამჭვირვალობის შესახებ”
- რეგულაცია 1099/2008 (2008 წლის 22 ოქტომბერი) “ენერგეტიკის სტატისტიკის შესახებ”
- რეგულაცია 431/2014 (2014 წლის 24 აპრილი) “ენერგორესურსების მოხმარება შინამეურნეობებში”

რეგულაცია #2016/1952 მიზნად ისახავს გაზის და ერექტროენერგიის ფასების შესახებ ინფორმაციაზე გამჭვირვალობის გაუმჯობესებას და განსაზღვრავს ზოგად სა-ფუძვლებს წერილობითი ორჯერ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების წარმოების, გავრცელებისა და საჭაროობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

რეგულაცია #1099/2008 ითვარისწინებს ყოველწლიური, ყოველთვიური და მოკრევადიანი ენერგეტიკის სტატისტიკის წარმოებას, გავრცელებას და საჭაროობის უზრუნველყოფას დაგენიერი ფორმატითა და პერიოდულობით.

რაც შეეხება #431/2014 რეგულაციას, განსაზღვრავს



შინამეურნეობებში ენერგორესურსების საბოლოო მოხმარების შესახებ წლიური პერიოდულობის სტატისტიკურ მონაცემთა წარმოებისა და გავრცელების საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგულაციებით გათვარისწინებული მოთხოვნები ენერგეტიკის სტატისტიკის მონაცემთა წარმოების და გავრცელების შესახებ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ უნდა შესრულდეს 2017 წლის ბოლომდე.


დასკვნა

ენერგეტიკური ინფორმაციის გამჭვირვალობის მოთხოვნას საფუძვლად უდევს ეკონომიკური ურთიერთობების სამართლიანობის და საბაზრო კონკურენციის პირობების დაცვის მოთხოვნა, რამაც უნდა უზრუნველყოს ბაზრების ეფექტური ფუნქციონირება, ბაზრის მოთამაშეთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

ევროკავშირის კანონმდებლობა გვთავაზობს რეგულირების ძლიერ მექანიზმებს გამჭვირვალობის და სამართლიანი კონკურენციის ხელშესაწყობად, რათა თავიდან ავიცილოთ მონოპოლია და კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედება ეროვნულ ბაზრებზე. ევროპული დირექტივები და რეგულაციები განსაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით გამჭვირვალობის სახელმწიფო პოლიტიკა გენერაციის, მიწოდების, ქსელური საქმიანობის და ენერგიის შენახვის თითოეულ სფეროში. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა ენერგიის მოხმარებასა და ღირებულებებზე მომხმარებლების დეტალური ინფორმირებაა, რათა მომხმარებლებმა იცოდნენ ბაზრის მდგომარეობა, შეძლონ თავისუფალი არჩევანის გაკეთება და საკუთარი ინტერესების დაცვა. ამისთვის აუცილებელია:

- მიმწოდებელთან კონტრაქტების პირობებისა და სტანდარტების გამჭვირვალობა;
- მომხმარებლებზე (საბოლოო სამრეწველო მომხმარებლები) ერექტროენერგიისა და გაზის ფასების გამჭვირვალობა;
- მიმწოდებლიდან მიმწოდებელზე თავისუფლად გადასვლის შესაძლებლობა;
- ენერგიის მოხმარების ჭკვიანი აღრიცხვის სისტემების დანერგვა;
- სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სოციალური დაცვის მექანიზმების (სუბსიდიები) მაქსიმალური გამჭვირვალობა და
- ძლიერი აღსრულება და კონტროლი

გარდა ამისა, ენერგიის მიწოდების სექტორში კონკურენციის ხელშეწყობისთვის უნდა შეიქმნას ქსელზე (სატრანზიტო ქსელისა და საცავების ჩათვლით) თავისუფალი დაშვების გამჭვირვალე კრიტერიუმები. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქსელზე წვდომის არადისკრიმინაციულ და მაქსიმალურად გამჭვირვალე მარეგულირებელი სისტემის შექმნას, რომლის



აღსრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი იქნება მარეგულირებელი.

საქართველოში ენერგეტიკის სექტორი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ასოცირების ხერშეკრულების და ენერგეტიკური გაერთიანების გაწევრიანების ოქმით ნაკისრი ვარდებულებების შესრულება ენერგეტიკის სექტორში მნიშვნელოვან რეფორმებს ითვადისწინებს, მათგან აღსანიშნავია ენერგეტიკური ბაზრებს დიბერადიზაცია, მიმწოდებელთან კონტრაქტების პირობებისა და სტანდარტების ერთიანი მიდგომისა და სისტემების მოწესრიგება, სუბსიდირების მექანიზმების გამართვა და სხვ. რაც ინფორმაციისა და მონაცემების გამჭვირვადობის გარეშე ვერ განხორციელდება.

საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ინფორმაციის გამჭვირვადობის კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს. ხშირად ინფორმაცია დახურულია კომერციული საიდუმლოების მოტივით, თუმცა, არაკონკურენტული ბაზრის არსებობის პირობებში, ინფორმაციის დახურვა ემსახურება არა კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის დაცვას, არამედ არაკონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებას ან გადაწყვეტილებების მოქადაქეთაგან დამადვას.

მნიშვნელოვანია საზოგადოებამ მაქსიმალური ძადისხმევა მიმართოს იქითვენ, რომ ა)ჩამოყადიბდეს და ამოქმედდეს ენერგეტიკურ ბაზრებზე რეალური კონკურენციის მექანიზმები და მოხდეს მათი მკაცრი გამიჯვნა ბუნებრივად მონოპოლიური საქმიანობისგან; ბ)მოხდეს სექტორის მართვის და რეგულირების უფლებამოსილებათა გადანაწილება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, გ)ჩამოყადიბდეს სტრატეგიული პრიორიტეტები, პროცედურები და სახერმძღვანელო პრინციპები იმისთვის რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პიროვნური გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული რისკები.

მოკრევადიან ჭრიდში მიზანშეწონილია გატარდეს ზომები ბუნებრივი გაზის ბაზრის ე.წ. კომერციულ სექტორში ფასების დადგენის გამჭვირვადე და არადისკრიმინაციული პრინციპების დანერგვისთვის. გადაიხედოს მოქმედი გრძელვადიანი კონტრაქტები და მონაწირეთა რეგითიმური, კომერციული ინტერესების გათვადისწინებით მოხდეს მათი პირობების და მექანიზმების გასაჯაროება. მნიშვნელოვანია დაჩქარდეს რეფორმები საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების და ენერგეტიკურ გაერთიანებაში გაწევრიანების ხერშეკრულებების შესაბამისად, რაც სექტორის გამჭვირვადობის, სტაბილურობის და განვითარების პირობებს შექმნის.



ბიბლიოგრაფია

- ენერგეტიკული ქარტიის ხერშეკრულება
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხერშეკრულება
- ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმება
- 2009/72/EC დირექტივა ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ
- 2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ
- 714/2009 რეგულაცია ელექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ქსერზე დაშვების შესახებ
- 715/2009 რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსერებზე დაშვების შესახებ
- 713/2009 რეგულაცია ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოს (ACER) დაფუძნების შესახებ
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- საქართველოს კანონი ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ
- საქართველოს კანონი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ
- საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“
- საქართველოს მთავრობის #214 დადგენილება „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება #40 - იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომელიც არ არის შეტანილი საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხაში
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №69 „ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ“
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 14 აგვისტოს ბრძანება #52 „ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყარმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის დადგენილება #24 „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყარმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშების და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყარმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის დადგენილება №12 „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების შესახებ“
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №77 „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყარმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, 2016 წლის ანგარიში
- დ. ჯერვარიძე “საქართველოს გაზის ბაზარი: მოკლე და საშუალოვადიანი გამოწვევები“, 2017
- მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის - “ენერგეტიკული სუბსიდიების აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - საქართველო“ 2017წ.
- მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის - „საქართველოს ენერგეტიკისა და წყარმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია - შეფასების ანგარიში“, 2017 წ.

